

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210467579



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

15.05.2021 6

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

გვანცა კვაცაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ავაკი წერეთლის გამზირი #117 (მე-2 სართული)

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

(+995) 595 01 34 34

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

93473719330921



ორი ათას ოცდაერთი წლის თხუთმეტ წლის შვ. საქართველოს ნოტარიუსს, გვანცა კვაცაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ავაკი წერეთლის გამზირი #117 (მე-2 სართული), მომმართა მარიამ ვსებუაშვილმა (დაბადებული 27.05.1975. სოხუმში, პირადობის მონუმბის #131109657, პირადი #62001013838, გაცემული 27.12.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული მისამართი: სოხუმი ბურჯინის ქ. I კვ. კორ. 12 ბ. 57, განცხადებით მცხოვრები: ქალაქი თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 43, ბინა 75-ში; მან წარმოადგინა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სინქრონული თარგმნის განყოფილების მიერ გაცემული მონუმბა #0/01 მთარგმნელ-თარჯიმნის კვალიფიკაციით, გაცემული 2000წელს). მან წარმოადგინა დოკუმენტის თარგმანი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და მოითხოვა სულ 272/ორასსამოცდათორმეტი/ ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დაუადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შევამოწმე მარიამ ვსებუაშვილს უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ იგი ნამდვილად უფლებამოსილია თარგმნოს.

ნოტარიუსის მიერ თარჯიმნის ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის (ასლის) კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და, შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს). ან ვადასტურებ, რომ მისი ნამდვილობა (ნამდვილობის ნამდვილობის) თარჯიმანი გაფრთხილებულია ნოტარიუსის მიერ, რომ პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტის თარგმანს.

გადახდულია სანოტარო მომსახურების საშლური 544/ხუთასორმოცდაოთხი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეგისტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი გვანცა კვაცაშვილი

(Handwritten signature in blue ink)

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და განადგობის შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 66 19 18

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობითი ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.....1

მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

„ფინკა ბანკის“ საქმიანობის ხასიათი და მისია	3
მიზანი და ხედვა	4
სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები	4
„ფინკა ბანკის“ ძირითადი საოპერაციო სეგმენტები	5
საქმიანობის შედეგები 2020 წლისთვის	5
კორპორაციული მართვის სისტემა	6
აქციონერთა საერთო კრება	7
სამეთვალყურეო საბჭო	7
„ფინკა ბანკი საქართველოს“ დირექტორატი	8
„ფინკა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები	8
მმართველობითი კომიტეტები	9
სხვა ფუნქციონალური მიმართულებები	10
რისკის მართვის სტრატეგია	11
„ფინკას“ ვალდებულება სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით	19
თანამშრომელთა დაცვაზე მიმართული პოლიტიკები და პროცედურები	20
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	23
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	27
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	28
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	29
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	30

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ორგანიზაცია	31
2. შესაბამისობა	32
3. ფინანსური ანგარიშგების ახალი და შეცვლილი საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	34
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	37
5. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები	63
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64
7. სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	65
8. კლიენტებზე გაცემული სესხები	65
9. ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	70
10. ფინანსური აქტივები/ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	70
11. ძირითადი საშუალებები	71
12. არამატერიალური აქტივები	72
13. სხვა აქტივები	73
14. ბანკების დეპოზიტები	74
15. კლიენტების დეპოზიტები	74
16. გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები	75
17. ნასესხები სახსრები	76
18. სხვა ვალდებულებები	77
19. სუბორდინირებული ვალი	78
20. საწესდებო კაპიტალი	78
21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	79
22. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	79
23. სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	80
24. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	81
25. პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	81
26. სხვა საოპერაციო ხარჯები	82
27. მოგების გადასახადი	82
28. პირობითი ვალდებულებები	84
29. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	85
30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	87
31. კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვა	90
32. რისკის მართვის პოლიტიკა	93
33. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	134

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელშიც სამართლიანად არის წარმოდგენილი სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი ოპერაციების შედეგები, ფულადი ნაკადები და ცვლილება აქციონერულ კაპიტალში ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის წარმოდგენა, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკა იმგვარად, რომ ასახავდეს რეალურ, შედარებად და გასაგებ მონაცემებს;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა, როდესაც შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიურ მოთხოვნებთან არ აძლევს საშუალებას მომხმარებლებს კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენების და პირობების ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე გავლენის გაგების შესაძლებლობას;
- ბანკის უნარის შეფასება, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- ინფორმაციის გაცემა მმართველობით ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ფორმით;
- მმართველობითი ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს შემდეგზე:

- ბანკში შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც უზენებენ ან განმარტავენ ბანკის ოპერაციებს და იძლევიან ინფორმაციას ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, გონივრული სიზუსტით და ფასს სტანდარტების შესაბამისად;
- საქართველოს კანონმდებლობით და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომია მათთვის ბანკის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობის და სხვა დარღვევების ფაქტების აღკვეთა და დაფიქსირება.

ბანკის ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დამტკიცებულია დირექტორატის მიერ 2021 წლის 26 მარტს:

ფინკა ბანკი საქართველოს დირექტორატის სახელით:

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ირაკლი ელაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

თენგიზ თავაძე
ფინანსური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“


მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

„ფინკა ბანკის“ საქმიანობის ხასიათი და მისია

„ფინკა ბანკი საქართველო“ არის სააქციო საზოგადოება, რომელიც 22 წელზე მეტია ფუნქციონირებს. „ფინკა ბანკი საქართველო“ „FINCA Impact Finance“-ის ქსელის ნაწილია, რომელიც 20 მიკროსაფინანსო და ფინანსური ინსტიტუტებისგან შემდგარი ჯგუფი. „FINCA Impact Finance“ სოციალურად პასუხისმგებლიან ფინანსურ მომსახურებებს უწევს დაბალ-შემოსავლიან მეწარმეებს და მცირე ბიზნესის მფლობელებს და მათ მომავალში ინვესტირების შესაძლებლობას აძლევს.

გლობალური ქსელი „FINCA Impact Finance (FIF)“



„ფინკამ“ ფუნქციონირება საქართველოში 1998 წელს დაიწყო და 2013 წლის 6 აგვისტომდე საქმიანობდა როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

2013 წლის 6 აგვისტოს ორგანიზაციამ საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

„ფინკა ბანკი საქართველომ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში საკრედიტო კულტურის დანერგვასა და განვითარებაში. ის მიკროსაფინანსო სფეროს პიონერია 22 წლის განმავლობაში. „ფინკა ბანკი საქართველო“ პასუხისმგებლიან ფინანსურ მომსახურებებს სთავაზობს მეწარმეებს, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. საქართველოს ფინანსური მომსახურების სექტორში მრავალწლიანი გამოცდილებით და ათი ათასობით ოჯახზე დადებითად ზემოქმედების გზით, „ფინკა ბანკი საქართველოს“ მიზანია უზრუნველყოს სრულყოფილი და გამორჩეული მიდგომებით თავის მომხმარებლებისათვის უფრო მეტი ღირებულების შექმნა.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მიზანი და ხედვა

„ფინკა ბანკი საქართველო“ პასუხისმგებლიან, ინოვაციურ და ეფექტიან ფინანსურ მომსახურებებს სთავაზობს დაბალშემოსავლიან ფიზიკური პირებს და მეწარმეებს, რათა მათ თავიანთ მომავალში ინვესტირება შეძლონ.

„ფინკა ბანკი საქართველო“ წარმატებული საშუალო ზომის ბანკია, რომელიც აკმაყოფილებს მისი დაინტერესებული მხარეების როგორც მომგებიანობასთან, ასევე სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ მოლოდინებს, მიკროსაფინანსო ბაზარზე წარმოსადეგი პოზიციის დასაკავებლად. „ფინკა“ აკმაყოფილებს მისი მომხმარებლების ფინანსურ საჭიროებებს ტექნოლოგიურად ინოვაციური, მასშტაბური და ღირებულების შემქმნი გადაწყვეტების გამოყენების გზით.

ბანკი ინარჩუნებს მისი ლოიალური კლიენტების კრიტიკულ მასას სხვადასხვა არხის, პროდუქტების მრავალფეროვანი დიაპაზონის და პროდუქტების პაკეტების შეთავაზებების გზით. ბანკი ამრავალფეროვნებს ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საქმიანობას, ციფრული და ფინანსური განათლების პროგრამების გამოყენებით. „ფინკას“ ძლიერი ბრენდის ლოიალობა, ციფრულ ინოვაციებზე და ბრწყინვალე სამომხმარებლო გამოცდილებაზე ორიენტაცია, კომფორტი და ხელმისაწვდომობა ბანკს განასხვავებს მისი ძირითადი კონკურენტებისგან.

ბანკის ხედვა მიიღწევა შემდეგ ძირითად კომპონენტებზე განსაკუთრებული ფოკუსირებით:

- ამბიციური ზრდა ბანკის მთავარ სეგმენტებში, უპირატესად სოფლებში.
- გამორჩეული მომსახურება როგორც შიდა, ისე გარე კლიენტებისთვის.
- მომხმარებელთა ძლიერი სადეპოზიტო ბაზა.
- ინოვაციური და ციფრული გადაწყვეტები მომხმარებელთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- ძლიერი ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურა და კორპორაციული მმართველობა.
- ორიენტირება პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული საბანკო პრაქტიკის დაცვაზე, საქართველოს მიკრო სეგმენტისთვის.

მისი სტრატეგიული მიზნების განხორციელებისას, ბანკი ეყრდნობა მის ხედვას პასუხისმგებლიან საბანკო მომსახურებებთან დაკავშირებით და მოწოდებულია დადებითი გავლენის უზრუნველყოფაზე კლიენტებსა და იმ კონკრეტულ წრეებზე, რომლებშიც ის და მისი კლიენტები ოპერირებენ, ამავდროულად მისი აქციონერებისთვის ღირებულების შექმნის გზით.

სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები

„ფინკა ბანკი საქართველო“ სტრატეგიის თანახმად, 2021 წლის ინიციატივების უმრავლესობა კონცენტრირდება ორი ძირითადი მიმართულებით, რომლებიც უკავშირდებოდა აქციონერებისთვის დამატებული ღირებულების შექმნას: 1. ბაზარზე ბანკის კონკურენტუნარიანობის ზრდა (შესაბამისი პროდუქტების არხებით და თანამშრომლებით) და 2. შიდა და გარე პროცესებზე მუდმივი მაღალეფექტური კონცენტრაციის უზრუნველყოფა. ბანკი ასევე იმუშავებს ციფრული ინიციატივების განვითარების მიმართულებით, კერძოდ ღია ბენქინგის ნაწილში და უზრუნველყოფს საკრედიტო პროცესის ავტომატიზაციის ინიცირებას.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

„ფინკა ბანკის“ ძირითადი საოპერაციო სეგმენტები

„ფინკა ბანკი საქართველო“ საშუალო ზომის ბანკია, რომელიც ორიენტირებულია მისი აქციონერების მოგებასთან და სოციალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებულ მოლოდინებთან, მიკროსაფინანსო და მცირე სამეწარმეო სეგმენტში წარმოსადეგი პოზიციის დასაკავებლად. „ფინკა ბანკი საქართველო“ არის გამორჩეული ბანკი მისი ძირითადი სეგმენტისთვის - მიკრო-მცირე ბიზნესების, სასოფლო-სამეურნეო კლიენტების და მიკრო-საცალო ვაჭრობის სეგმენტისთვის - ნამდვილი საოჯახო პარტნიორი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური მომსახურებების საჭიროებებს ინიციატივების, ციფრული და გავლენიანი ფინანსური გადაწყვეტების გამოყენებით.

ბანკი ამრავალფეროვნებს ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საქმიანობას, ციფრული და ფინანსური განათლების პროგრამების გამოყენებით, მიკრო საცალო ვაჭრობის სეგმენტში, ფერმერებთან, მიკრო და მცირე მეწარმეებთან.

ბანკის მიზანია მრავალფეროვან საბანკო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა გაზარდოს სოფლად, საქართველოს რეგიონებში.

საქმიანობის შედეგები 2020 წლისთვის

კოვიდ-19-ის გლობალურმა პანდემიამ მსოფლიოში მრავალი ქვეყნის ეკონომიკა რეცესიაში შეიყვანა. ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, საქართველოს ეკონომიკაც პანდემიის მიერ წარმოქმნილი გამოწვევების წინაშე იდგა და დღესაც განაგრძობს ამ გამოწვევებთან გამკლავებას. თუმცა, საქართველოს ფინანსური სისტემა უძლებს სირთულეებს და სხვადასხვა მარეგულირებელი ინიციატივებით უზრუნველყო ლიკვიდურობისა და კაპიტალის ბუფერების შესაბამისი დონე, პანდემიით გამოწვეული შოკებთან გასამკლავებლად.

ეკონომიკაზე პანდემიის გავლენის შედეგად, უმოქმედო სესხები გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ პანდემიის დროს მათი რაოდენობა მაღალი დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ კომერციულმა ბანკებმა საქართველოში დააგროვეს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი, საბანკო სისტემას საკმარისი რესურსები აქვს სირთულეების გარეშე ეკონომიკისთვის სესხების მიწოდების გასაგრძელებლად.

2020 წელს პანდემიის დროს „ფინკა ბანკი“ იცავდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და პასუხობდა კლიენტების საჭიროებებს. წლის განმავლობაში კოვიდ-19-ის სამი ტალღა იყო, ორჯერ გამოცხადდა მკაცრი იზოლაცია (ე.წ. ლოქდაუნი), რამაც ნეგატიურად იმოქმედა მოწყვლადი სექტორების საქმიანობის მაჩვენებლებზე. პანდემიის პროცესში მისი კლიენტების მხარდაჭერის მიზნით, „ფინკა ბანკმა“ კლიენტებს, რომლებსაც შესაბამისი დახმარება სჭირდებოდათ, სასესხო მორატორიუმი შესთავაზა (ე.წ. კოვიდ სასესხო პორტფელი).

პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული საკრედიტო პროცესის და კლიენტების ადეკვატური მხარდაჭერის შედეგად, 2020 წელს იკლო ვალდებულებების შეუსრულებლობის მაჩვენებელმა და გაუმჯობესდა კლიენტების შესაძლო მომავალი ფინანსური სირთულეების დაძლევის შესაძლებლობები. კოვიდ-19-ის პორტფელის მაჩვენებლები წლის განმავლობაში „ფინკა ბანკში“ გაუმჯობესდა ექვსი თანმიმდევრული გადახდის შემდეგ, რაც სესხის გაჯანსაღების კრიტერიუმად ჩაითვა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია კოვიდ-19-ის პორტფელის თითქმის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

განახვერება. თუმცა, კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა ჯერ კიდევ სრულად არ ჩანს, რადგან კოვიდ-19-ის დარჩენილი პორტფელის მაჩვენებლების და ეკონომიკის აღდგენა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიით წარმოქმნილმა გამოწვევებმა „ფინკა ბანკს“ გაციფრულების ახალი შესაძლებლობები შეუქმნეს. 2021 წელს ბანკი ყურადღებას გაამახვილებს ახალ რთულ გარემოსთან ადაპტაციაზე, სხვადასხვა არხებით კლიენტებისთვის შეთავაზებების და პორტფელის ზრდის გზით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ლარში:

ფინანსური მაჩვენებლები	31-დეკ-20	31-დეკ-19
სულ აქტივები	287,702,303	279,321,543
მთლიანი სასესხო პორტფელი	213,696,653	220,905,386
კლიენტის სადეპოზიტო პორტფელი	166,672,277	169,133,192
სულ კაპიტალი	49,373,556	48,804,238
საოპერაციო შემოსავალი	29,650,307	37,442,784
საოპერაციო ხარჯები	(29,853,614)	(29,832,677)
წლის წმინდა მოგება	569,318	6,792,588
ეფექტურობის მაჩვენებლები		
ამონაგები გამოყენებულ აქტივებზე (წმინდა შემოსავალი / თვის საშუალო კაპიტალი)	1.16%	14.52%
ამონაგები აქტივების საშუალო ღირებულებაზე (წმინდა შემოსავალი / თვის საშუალო აქტივები სულ)	0.20%	2.34%

კორპორაციული მართვის სისტემა

ზოგადი ინფორმაცია

„ფინკა ბანკი საქართველოს“ კორპორაციული მართვის ერთეულებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი, რომელთაგან თითოეულზე ვრცელდება პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობის და ბანკის წესდების შესაბამისად.

ინფორმაცია კომპანიის მესაკუთრეების შესახებ

სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ აქციების 100%-ის მფლობელია „FINCA Microfinance Coöperatief U.A.“, ნიდერლანდების ამსტერდამის სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრში ნომრით 53004698 რეგისტრირებული კოოპერატივი, რომელიც ამსტერდამშია განთავსებული (შემდგომში „კოოპერატივი“). კოოპერატივის წევრები არიან:

1) „FINCA MICROFINANCE HOLDING COMPANY“ LLC

„FINCA MICROFINANCE HOLDING COMPANY“ LLC-ის პარტნიორები არიან:

- „FINCA International, Inc.“

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)
- „Kreditanstalt für Wiederaufbau“ (KfW)
- „Nederlandse Financierings Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V.“ (FMO)
- „Triodos Investment Management“
- „Triple Jump, acting for ASN-NOVIB FONDS“

2) „FINCA INTERNATIONAL“ LLC

აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება ბანკის გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი მმართველობითი ორგანოა. მისი მოწვევა ხდება ყოველწლიური და საგანგებო კრებების სახით. წლიური კრება უნდა ჩატარდეს აუდიტირებული წლის ფინანსური ანგარიშგების პერიოდის დახურვიდან 2 თვის ვადაში.

სამეთვალყურეო საბჭო

„ფინკა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს უპირატესი პასუხისმგებლობაა რისკის მართვა, იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკს ჰქონდეს ეფექტურად ფუნქციონირებადი შიდა კონტროლის სისტემა, ასევე ბანკის ზედამხედველობის განხორციელება აქციონერების სახელით და „ფინკა ბანკი საქართველოს“ ხელმძღვანელობის სახელით, მათ შორის „ფინკას“ მისიის შესრულების, სტრატეგიის შემუშავებისა და „ფინკას“ ქსელის, ფინანსური მაჩვენებლების, სოციალური მაჩვენებლების განვითარების და მოქმედ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის მიმართულებით. სამეთვალყურეო საბჭო ასევე პასუხს აგებს „ფინკა ბანკი საქართველოს“ ოპერაციების მიმოხილვასა და შეფასებაზე, ბანკის წესდების და სხვა მოქმედი დოკუმენტებისა თუ სტანდარტები შესაბამისად.

აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც 3-დან (სამი) 21-მდე (ოცდაერთი) წევრისგან შედგება. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა უნდა მოხდეს ოთხწლიანი ვადით. საერთო კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას ნებისმიერი წევრი ან განმეორებით აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მათი ვადის გასვლამდე. ამავდროულად, ნებისმიერ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგომა. სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს მისი წევრებიდან. სამეთვალყურეო საბჭოს კრება ტარდება სულ მცირე ერთხელ კალენდარული კვარტალში.

სამეთვალყურეო საბჭო ატარებს თვითშეფასებას საბჭოს აქტივობებთან შესაბამისობასთან, არსებულ პროცესებთან, ეფექტურობასთან, შემადგენლობასა და წევრების შესაბამისობასა და სათანადო კრიტერიუმებთან დაკავშირებით. შეფასების შედეგებს აქციონერები განიხილავენ.

„ფინკა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭო შემდეგი წევრებისგან შედგება:

ფლორინ ლინა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ვოლკერ რენერი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ჩიკაკო კუნო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, აუდიტის კომიტეტის და რისკების მართვის კომიტეტის წევრი

სრიდჰარ სრინივასანი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და რისკების კომიტეტის წევრი

ავთანდილ გოგოლი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, რისკების კომიტეტის თავმჯდომარე, აუდიტის კომიტეტის წევრი

„ფინკა ბანკი საქართველოს“ დირექტორატი

„ფინკა ბანკი საქართველოს“ დირექტორატი მოიცავს აღმასრულებელ დირექტორს, ფინანსურ დირექტორს, კომერციულ დირექტორს, რისკების მართვის დირექტორს და მთავარ იურიდიულ მრჩეველს და კორპორაციულ მდივანს. თითოეულ წევრს დანიშნავს სამეთვალყურეო საბჭო 4-წლიანი ვადით, მაგრამ წევრების უფლებამოსილება გრძელდება ვადის გასვლის შემდეგ, სანამ სამეთვალყურეო საბჭო არ დანიშნავს დირექტორატის ახალ წევრ(ებ)ს. დირექტორატმა პასუხი უნდა აგოს ბანკის სტრატეგიის მართვასა და აღსრულებაზე. დირექტორატის წევრები შეიძლება თანამდებობაზე ერთი ან მეტი დამატებითი ვადით იქნენ არჩეული.

„ფინკა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭომ ირაკლი ელაშვილი დანიშნა ახალ აღმასრულებელ დირექტორად 2020 წლის სექტემბერში.

ინტერესთა კონფლიქტი

სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის არც ერთი წევრია ჩართული საქმიანობაში, რომელიც შესაძლოა იყოს ან გონივრულ ფარგლებში ჩაითვალოს „ფინკა ბანკი საქართველოსთან“ ინტერესთა კონფლიქტში მყოფად.

„ფინკა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

„ფინკა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს რისკების მართვის კომიტეტს, აუდიტის კომიტეტს და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს (ALCO). კომიტეტები ანგარიშვალდებული არიან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, მათი შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში მყოფ (მათი კომიტეტის წესდებებით განსაზღვრულ) საკითხებთან დაკავშირებით და ისინი რეკომენდაციებს აძლევენ სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს რისკების მართვის კომიტეტის და აუდიტის კომიტეტის სამ წევრს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიდან, რომელთა უმრავლესობა დამოუკიდებელი წევრები უნდა იყვნენ. კომიტეტის თავმჯდომარე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. რისკების მართვის კომიტეტის და აუდიტის კომიტეტის წევრების უფლებამოსილება უნდა გახანგრძლივდეს, მათი დადგენილი წესით ჩანაცვლებამდე. მათი თანამდებობაზე დანიშვნა შესაძლოა განახლდეს ერთი ან მეტი დამატებითი ვადით.

აუდიტის კომიტეტი მიმოიხილავს და ამტკიცებს საბანკო ფინანსურ და საოპერაციო საანგარიშგებო პროცესებს, შიდა კონტროლის მექანიზმებს, თაღლითობასთან ბრძოლის პროგრამას, აუდიტის პროცესს, შესაბამისობას კანონმდებლობასა და რეგულაციებთან, ასევე ქცევის კოდექსსა და რისკების მართვის პრაქტიკებთან. კომიტეტი ასევე დახმარებას უწევს

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის პროგრამის, მათ შორის აუდიტის გეგმებისა და პრევენციული სამოქმედო გეგმების მიმოხილვაში.

რისკების მართვის კომიტეტი მიმოხილავს და ამტკიცებს შესაბამისობასთან დაკავშირებით საბანკო კანონებს და რეგულაციებს, ასევე ქვევის კოდექსსა და რისკების მართვის პრაქტიკებს, აფასებს ყველა ფინანსურ და არაფინანსურ რისკს. კომიტეტი ასევე ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს რისკების მართვის სტრუქტურის მიმოხილვაში, მათ შორის რისკის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებისა და პოლიტიკების, რისკის დასაშვები ცდომილებისა და დასაშვები რისკის დონის ჩათვლით. რისკების მართვის კომიტეტის და აუდიტის კომიტეტის რეგულარული კრება ტარდება სულ მცირე ერთხელ კვარტალში.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) მართავს და აკონტროლებს ფინანსურ რისკს, მათ შორის, შეუზღუდავად, ლიკვიდურობის რისკს, დაფინანსების რისკს, კონტრაქტის საკრედიტო რისკს, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს. ის ასევე აკონტროლებს სხვა შესაბამის რისკებს, როგორც არის სასესხო, საკრედიტო და საოპერაციო რისკი, გასცემს რეკომენდაციებს გამოსწორების საშუალებებთან დაკავშირებული გამონაკლისების, დაფინანსების მობილიზებისა და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შესახებ. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ატარებს შეფასებას და გასცემს რეკომენდაციებს კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ და მართავს კაპიტალის ადეკვატურობის დონეს, ასევე უზრუნველყოფს მარეგულირებელი კოეფიციენტების და საკრედიტო ორგანიზაციის გარანტიების შესაბამისობას.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ყოველთვიურად იკრიბება. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის წევრები არიან: აღმასრულებელი დირექტორი (თავმჯდომარე), ფინანსური დირექტორი (მდივანი), FIF რეგიონალური დირექტორი, FIF Capital Market Group-ის წარმომადგენელი და FIF გლობალური საფინანსო განყოფილების უფროსი. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის კრებას შესაძლოა ასევე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით პერიოდულად მოწვეული სხვა პირებიც დაესწრონ.

კომიტეტმა სამეთვალყურეო საბჭოს (თითოეული კრების შემდეგ) უნდა წარუდგინოს რისკებთან დაკავშირებული საკითხების შემაჯამებელი ინფორმაცია და მნიშვნელოვანი განხილული საკითხების შესახებ რეკომენდაციები, ასევე კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მმართველობითი კომიტეტები

რისკების მართვის და შესაბამისობის კომიტეტი

დირექტორატის დონეზე არსებული რისკების მართვისა და შესაბამისობის კომიტეტი მიმოხილავს და ამტკიცებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებს. რისკების მართვის კომიტეტის მიერ გასათვალისწინებელი რისკები მოიცავს ბანკის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის, საოპერაციო, შესაბამისობის, საინფორმაციო უსაფრთხოების, ბიზნესის უწყვეტობის და რეპუტაციულ რისკებს. რისკების მართვის კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს „ფინკა ბანკი საქართველოს“ რისკების მართვის სტრუქტურის,

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

რისკების მართვისა და რისკების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებისა და პოლიტიკების მიმოხილვაში.

საკრედიტო კომიტეტი

„ფინკა ბანკი საქართველო“ საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ყველა შემოთავაზებული სასესხო განაცხადის დამტკიცების ან მასზე უარის გაცემის შესახებ. ის ასევე განიხილავს საკითხებს სესხის რესტრუქტურისა და უზრუნველყოფის დონისა და სხვათა საჭიროების შესახებ.

საკრედიტო კომიტეტში შესაძლოა შედიოდნენ შემდეგი წევრები: აღმასრულებელი დირექტორი, კომერციული დირექტორი, ფინანსური დირექტორი, რისკების მართვის დირექტორი, მთავარი იურიდიული მრჩეველი და კორპორაციული მდივანი, საკრედიტო რისკის მენეჯერი, რეგიონალური ოპერაციების მენეჯერი, სერვის-ცენტრის მენეჯერი, საკრედიტო მენეჯერი, იურისტი და საკრედიტო რისკის მენეჯერი. საკრედიტო კომიტეტი იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე და მისი ზუსტი შემადგენლობა დამოკიდებულია სესხის შესაბამის ზომაზე.

ადამიანური რესურსების მართვის კომიტეტი

ადამიანური რესურსების მართვის კომიტეტი კვარტალში ერთხელ იკრიბება. მისი შემადგენლობა ასეთია: ევრაზიის რეგიონალური ადამიანური რესურსების მართვის დირექტორი, „ფინკა ბანკი საქართველო“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, „ფინკა ბანკი საქართველო“ აღმასრულებელი ხელმძღვანელობა - აღმასრულებელი დირექტორი, კომერციული დირექტორი, ფინანსური დირექტორი, რისკების მართვის დირექტორი, მთავარი იურიდიული მრჩეველი და კორპორაციული მდივანი.

დისციპლინარული კომიტეტი

დისციპლინარული კომიტეტი მიმოიხილავს „ფინკა ბანკი საქართველო“ თანამშრომელთა დისციპლინარულ შემთხვევებს, უნდა წარედგინოს თუ არა შეტყობინება რომელიმე თანამშრომლის არასათანადო ქცევის შესახებ დისციპლინარული კომიტეტის წევრებს.

დისციპლინარული კომიტეტის წევრები არიან: აღმასრულებელი დირექტორი, კომერციული დირექტორი, ფინანსური დირექტორი, რისკების მართვის დირექტორი, მთავარი იურიდიული მრჩეველი და კორპორაციული მდივანი და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი. კომიტეტის კრებას შესაძლოა ასევე აღმასრულებელი ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით პერიოდულად მოწვეული სხვა პირებიც დაესწრონ.

სხვა ფუნქციონალური მიმართულებები

„ფინკა ბანკი საქართველო“ ფუნქციონალური მენეჯერების სხვადასხვა დონე აქვს, რომელიც კონკრეტული ოპერაციების და პროცედურების მიმოხილვას ახორციელებს, მათ შორის ფინანსური, საოპერაციო, რისკების მართვის, შიდა აუდიტის, იურიდიული, მმართველობითი, ადამიანური რესურსების, მარკეტინგული კომუნიკაციების, პროექტის მართვისა და

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საინფორმაციო მომსახურებების ტექნიკური სფეროების ჩათვლით. ეს ფუნქციონალური მენეჯერები უზრუნველყოფენ სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელობისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია სათანადოდ სრული, ზუსტი და დროული იყოს, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების სათანადო დონეს, ასევე შექმნის მართვის მექანიზმებს იმისათვის, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ დამტკიცებული სტრატეგიები, დირექტივები და ინსტრუქციები სისტემატიურად და ეფექტურად შესრულდეს.

რისკის მართვის სტრატეგია

რისკის სტრატეგია

რისკის მართვის სტრატეგიის ძირითადი მიზანია მისი თანმიმდევრულად მორგება სტრატეგიულ პრიორიტეტებზე და „ფინკა ბანკი საქართველო“ ბიზნეს-სტრატეგიის განხორციელების მხარდაჭერა. ბანკის რისკის სტრატეგია განსაზღვრავს დასაშვები რისკის დონეების და კონტროლის მექანიზმების მორგებას დადგენილ ლიმიტებთან, ბანკის ბიზნეს-სტრატეგიის განხორციელებაში ბანკის დირექტორატის მხარდასაჭერად.

რისკის მისაღები დონე (რისკის აპეტიტი) წარმოადგენს რისკის დონეს, რომლის მიღებაც სურს ბანკს, მისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ის აგრეთვე ასახავს ბანკის უნარს გაუძლოს პოტენციური რისკების მატერიალიზაციის შედეგად დამდგარ დანაკარგებს, ალბათობის სხვადასხვა დონეზე, კაპიტალის არსებული რესურსის საფუძველზე. ბანკის რისკის აპეტიტის დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც აფასებს ბანკის რისკის ალბათობის შესაძლებლობებს კომბინაციაში-როგორც „ზემოდან-ქვემოთ,, ასევე „ქვემოდან-ზემოთ“- თითოეული ბიზნეს ხაზის მიხედვით. - რისკის ოდენობის გაკონტროლების მიზნით, ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს რისკის ყველა შესაბამისი ტიპისთვის (როგორც არის საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და სხვა რისკები). შესრულების მაჩვენებლები მისაღები რისკის დონესთან მიმართებაში ფასდება და ანგარიშის სახით წარედგინება ხელმძღვანელობას და სამეთვალყურეო საბჭოს, სულ მცირე კვარტალში ერთხელ.

„ფინკა ბანკი საქართველო“ მისი სტრატეგიული და საქმიანობის მიზნების მისაღწევად ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს რისკის მისაღებ დონესთან მიმართებაში:

- „ფინკა ბანკი საქართველო“ მართავს თავის ოპერაციებს რისკისა და ამონაგების დაბალანსებული თანაფარდობის მიღწევის გათვალისწინებით. ბანკს სურვილი აქვს საკუთარი მიზნების მიღწევის პროცესში გასწიოს ან იკისროს დაბალი ან საშუალო (კონკრეტული რისკებისთვის) შეფასების მქონე რისკები. შესაბამისად, ბანკი არ იღებს მაღალი დონის რისკს.
- „ფინკა ბანკი საქართველო“ საქმიანობის მიზნებს მიაღწევს საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.
- „ფინკა ბანკი საქართველო“ რისკთან/სარგებელთან დაკავშირებულ გონივრულ ბიზნეს-გადაწყვეტილებებს მიიღებს მხოლოდ რისკის გულმოდგინედ შეფასების შემდეგ.
- „ფინკა ბანკი საქართველო“ მუშაობს მაღალი პასუხისმგებლობით; დააკმაყოფილებს მისი კლიენტების ფინანსური მომსახურების საჭიროებებს, გასწევს ბრწყინვალე სამომხმარებლო მომსახურებებს და დაიცავს უნაკლო პროფესიონალურ სტანდარტებს და ბიზნეს ეთიკას.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

e. „ფინკა ბანკი საქართველო“ ხელს შეუწყობს რისკის აღიარების, შეფასებისა და მართვის საუკეთესო პრაქტიკის მიღწევაზე ორიენტირებული კულტურის განვითარებას.

ბანკი რეგულარულად აკონტროლებს მოსალოდნელი ფინანსური მაჩვენებლებიდან პოტენციური გადახრის დონეს, რათა შეინარჩუნოს რისკის პროფილის შესაბამისი დონე. ეს საკითხი დგინდება ბანკის სტრატეგიული მიზნებისა და ბიზნეს გეგმების, ასევე წლიური ფინანსური მიზნების მიღწევის გათვალისწინებით.

„ფინკა ბანკის“ რისკის სტრატეგიის მიზანია შემდეგი ამოცანების მიღწევა:

- ბანკის ფინანსური სტაბილურობის და მომგებიანობის დაცვა;
- ბანკის პროდუქტების და ინფრასტრუქტურის დაცვა;
- ბანკის დაცვა რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკისგან;
- ახალი პროდუქტის დამტკიცების პროცესში მონაწილეობა, რისკისა და ამონაგების თანაფარდობასთან დაკავშირებული ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფის მიზნით.

მთლიანობაში, ბანკი ძირითადად საქმიანობს დაბალი რისკის დიაპაზონში და ის კონსერვატიულ მიდგომებს იყენებს რისკების მართვასთან მიმართებაში. ამავდროულად, ბანკი აღიარებს, რომ შეუძლებელია მისი ოპერაციების/საქმიანობების დამახასიათებელი რამდენიმე რისკის აღმოფხვრა, შესაბამისად, ბანკი მუდმივად აკონტროლებს საჭირო პროცესების, რესურსებისა და მართვის გარემოს ადეკვატურობას.

რისკის კულტურა

ბანკის მიზანია რისკის კულტურის მუდმივად გაუმჯობესება. რისკის ძლიერი კულტურა განისაზღვრება უმაღლეს დონეზე. ეს პროცესი იმართება რისკის მართვის პოლიტიკებით, პრინციპებით და პროცედურებით. რისკის მართვის ფუნდამენტური პრინციპები ინტეგრირებულია ბანკის ყველა დონეზე, მათ შორის ყოველდღიურ საქმიანობებში, ბიზნეს პრაქტიკასა და მთლიანად სტრატეგიის განვითარების პროცესში.

ბანკის რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირები რეგულარულ ტრენინგებს უტარებს ფუნქციონალურ ერთეულებს. ბანკმა ჩაატარა რისკების შესახებ ცნობადობის ამაღლების ტრენინგები საოპერაციო რისკის, საკრედიტო რისკის, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკისა და შესაბამისობის რისკის მიმართულებით.

ქცევის კოდექსი

„ფინკა ბანკის“ ქცევის კოდექსი განმარტავს ეთიკურ სტანდარტებს, რომელთა შესრულების ვალდებულება აქვს „ფინკასა“ და მის აფილირებულ პირებთან დაკავშირებულ ყველა პირს. კონკრეტული მოთხოვნები და პოლიტიკები მოცემულია „ფინკას თანამშრომელთა სახელმძღვანელოში“ („თანამშრომლის ცნობარი“), ასევე „ფინკას“ მიერ შემუშავებულ სხვა პოლიტიკებში.

ამ კოდექსის თანახმად, „ფინკას“ პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ თანამშრომლებმა საქმიანობა უნდა განახორციელონ უმაღლესი ეთიკური და პროფესიონალური სტანდარტების

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შესაბამისად. ამ პოლიტიკის განმეორებითი დამტკიცების მიზნით, დირექტორატმა და წევრებმა მიიღეს „ქცევის კოდექსი“, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს „ფინკას“ ყველა თანამშრომელი - თითოეული მუშაკი, საბჭოს ან მრჩეველთა საბჭოს ყველა წევრი, კონსულტანტი და მოხალისე, ასევე „ფინკას“ სახელით მოქმედი სხვა პირები. ქცევის კოდექსის დაცვით საქმიანობის განუხორციელებლობა წარმოადგენს თანამშრომლობის ან „ფინკასთან“ სხვა სახის ურთიერთობის სასწრაფო წესით შეწყვეტის საფუძველს.

კანონთან შესაბამისობა - არავის აქვს უფლებამოსილება დაარღვიოს კანონი ან სამთავრობო რეგულაცია, აიძულოს სხვა თანამშრომელი ან ნებისმიერი სხვა პირი დაარღვიოს კანონი ან რეგულაცია „ფინკას“ სახელით.

საზოგადოებრივი აზრი და სამართლიანი საქმიანი ურთიერთობა - „ფინკა“ სამართლიანად ახორციელებს საქმიანობას კლიენტებთან, გამყიდველებთან, პარტნიორებთან და თანამშრომლებთან, ისეთი ფორმით, რომ მისი საზოგადოებისთვის გამჟღავნება „ფინკას“ არ დააზარალებს.

რისკის მართვის სტრუქტურა

ბანკმა დააფუძნა რისკის მართვის ჩარჩო, რისკების პროაქტიულად მართვის და საქმიანობის შესრულების ამოცანების მიღწევის მიზნით.

სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის კომიტეტთან და რისკების მართვის კომიტეტთან ერთად აგებს პასუხს „ფინკა ბანკი საქართველოს“ რისკის მთლიან მართვაზე. სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს დირექტორატის მიერ რეკომენდებულ სტრატეგიებს და პოლიტიკებს. დირექტორატი პასუხს აგებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ პოლიტიკებისა და პროცედურების ფარგლებში სტრატეგიული მითითებების ნაკრების განსაზღვრაზე და ამ პოლიტიკების განხორციელებისთვის ეფექტური იერარქიის დადგენაზე.

დირექტორატს აქვს სრული პასუხისმგებლობა ბანკის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკების განსაზღვრაზე, რისკის მართვის სტრუქტურის გამოყენებით.

რისკის მართვის სტრუქტურა აერთიანებს ინსტრუმენტებს, მოქმედებებს, რესურსებს და სისტემებს, რისკების ეფექტურად გამოვლენის, შეფასებისა და მართვის მიზნით.

დირექტორატის დონეზე იქმნება რისკების მართვის კომიტეტი რისკის მართვის პროცესის, რისკის სტრუქტურის, მისაღები რისკის დონის და რისკის პოლიტიკების მიმოხილვისა და გაკონტროლების მიზნით.

ბანკის რისკის მართვის ფუნქციის გაკონტროლება და დანერგვა გადანაწილდება რისკის მართვის ოთხ ძირითად უწყებას შორის: დირექტორატი, აუდიტისა და რისკის მართვის კომიტეტი, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) და რისკის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი.

რისკის მართვის კომიტეტი მიმოხილავს რისკის მართვის სტრუქტურის ეფექტურობას. ასევე არსებული პროცესების და ლიმიტების დასაშვები რისკის დონესთან და ბანკის სტრატეგიასთან თავსებადობას. რისკის მართვის კომიტეტი აფასებს რისკებს და იღებს გადაწყვეტილებებს მათი შემცირების მიზნით საპასუხო ღონისძიებების შესახებ.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

რისკების მართვის ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, რისკების მართვის ანგარიშვალდებულების დონეები სტრუქტურირებულია დაცვის სამი ხაზის პრინციპით:

I. დაცვის პირველი ხაზი

„ფინკა ბანკი საქართველო“ ბიზნეს ერთეულები სრულ პასუხს აგებენ მათ ოპერაციებში წარმოქმნილ რისკებზე. ბიზნესები პასუხს აგებენ რისკების იდენტიფიცირებასა და მართვაზე და უზრუნველყოფენ, რომ დაინერგოს რისკის მართვის გარემო, როგორც ყოველდღიური ოპერაციების შემადგენელი ნაწილი. დაცვის სისტემის პირველი ხაზი უპირატესად პასუხს აგებს მის ბიზნეს-სფეროში წარმოშობილ ნებისმიერ ზარალზე.

II. დაცვის მეორე ხაზი

რისკის მართვის ფუნქცია - მიმოიხილავს და აკონტროლებს რისკების მართვის პროცესებს ორგანიზაციაში. რისკის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი განსაზღვრავს რისკების მართვის სტრუქტურას და ადგენს რისკის ლიმიტებს. რისკის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი ატარებს რისკ-პროფილის დამოუკიდებელ მონიტორინგს და ეხმარება ბიზნესს რისკის შემცირების პროცედურების, ინსტრუმენტების და პოლიტიკების შემუშავებაზე. ამასთან, რისკის მართვის ფუნქცია გასცემს რეკომენდაციებს რისკების შემცირების მოქმედებების შესახებ.

რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებულა აღმასრულებელი დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, ბანკის მიმდინარე რისკ-პორტფელის, რისკის კულტურის მიმდინარე მდგომარეობის, დასაშვები რისკის დადგენილი დონის და ლიმიტების გამოყენების, ლიმიტების დარღვევისა და რისკის შემსუბუქების გეგმების შესახებ.

III. დაცვის მესამე ხაზი

შიდა აუდიტი - დამოუკიდებელი შემოწმების ფუნქცია, პირდაპირ წარუდგენს ანგარიშს აუდიტის კომიტეტს და სამეთვალყურეო საბჭოს.

ანგარიშგება რისკის შესახებ

რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირი ამზადებს ანგარიშს რისკის შესახებ და რეგულარულად წარუდგენს მას რისკების მართვის კომიტეტს, სადაც რისკის ტენდენციები და მიმდინარე რისკის დონეები განიხილება.

რისკის შესახებ სრულყოფილი ანგარიში, მათ შორის ყველა არსებითი რისკის შესახებ, როგორც არის საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, საოპერაციო რისკი და შესაბამისობის რისკი, წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალში ერთხელ. რისკის შესახებ ანგარიში მოიცავს დასაშვები რისკის დონესთან შესაბამისობის საკითხს და ძირითადი რისკის ინდიკატორების ტენდენციას რისკის ყველა არსებითი ტიპისთვის.

რისკის მართვის სტრატეგია რისკის ტიპის მიხედვით

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

საკრედიტო რისკი

ბანკი დგას საკრედიტო რისკის წინაშე, რომელიც არის მსესხებლის ან კონტრაქტის მიერ ფინანსური ან სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის რისკი.

ბანკი გამოავლენს, მართავს და ამცირებს საკრედიტო რისკს, სხვადასხვა ინსტრუმენტისა და მეთოდის გამოყენებით. ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და საკრედიტო საქმიანობის კონტროლი გარკვევით არის განსაზღვრული სახელმძღვანელოებსა და პროცედურებში.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპია მისი კლიენტების ზედმეტი დავალიანების თავიდან აცილება. შესაბამისად, საკრედიტო პრაქტიკები განისაზღვრება ისეთი ფორმით, რომ ყურადღებით შეფასდეს სესხის მოცულობა.

ბანკს განავითარებს ინდივიდუალურ საკრედიტო მეთოდოლოგიას სასესხო პროდუქტებში. საჭიროების შემთხვევაში და სესხების უმეტესობაში, ბანკი იღებს კერძო გარანტიებს და/ან გირაოს. თუმცა, სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი არაუზრუნველყოფილია, შესაბამისად უზრუნველყოფის საგნის მოთხოვნა ვერ ხდება. ყველა აპლიკანტის საკრედიტო ისტორია მოწმდება საკრედიტო ბიუროში, განმცხადებლების თანხმობის საფუძველზე.

ბანკი ქმნის საკრედიტო კომიტეტს სესხის განაცხადების შესაფასებლად. ეს არის დამოუკიდებელი უწყება, რომელიც სესხის განაცხადების დაფინანსების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილების საბოლოო ავტორიზაციას ახდენს. გარდა ამისა, სესხის პირობების ცვლილება, მათ შორის რესტრუქტურისაცა საკრედიტო კომიტეტის თანხმობის საგანს წარმოადგენს.

საკრედიტო რისკის შესაფასებლად, ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს, სეზ-ის მიერ განსაზღვრული პარამეტრების საფუძველზე.

ბანკი აფასებს კონცენტრაციის პოზიციას სხვადასხვა განზომილებების ჭრილში, კერძოდ, სექტორული და გეოგრაფიული განაწილების, საკრედიტო რეიტინგის, სამომხმარებლო სეგმენტის და -ინდივიდუალური მსესხებლის ან მსესხებელთას ჯგუფების ჭრილში.

ბანკი იყენებს HHI-ს (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი) მისი კონცენტრაციის რისკის შესაფასებლად. ინდივიდუალური მსესხებლის დონეზე პორტფელის კონცენტრაცია ძალიან იზღუდება პორტფელის დეტალიზაციის მაღალი დონის გამო. რისკის შეფასება უჩვენებს, რომ ბანკში რისკის მთლიანი კონცენტრაცია დაბალია.

ბანკი განაგრძობს გონივრული საკრედიტო პოლიტიკის დაცვას. ყველა საკრედიტო აქტივობა მიმართულია კლიენტებთან გრძელვადიან ურთიერთობაზე, მყარი მომგებიანობის მისაღწევად და კრედიტის ემისიის გაფართოების თავიდან ასაცილებლად, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გრძელვადიან სტაბილურობას.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებისათვის საკმარისი სახსრების არსებობას. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი პასუხს აგებს ლიკვიდურობის მართვის გაკონტროლებაზე, სულ მცირე თვეში ერთხელ.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ითვალისწინებს ლიკვიდურობის გრაფიკს, ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ პროგნოზებს და დაფინანსების გრაფიკს. შედეგად ისინი გადაწყვეტილებას იღებენ მომავალი დაფინანსების საჭიროების (ვადები, თანხა, ვალუტა), შესაძლო ლიკვიდურობის წყაროების (თანხების პირდაპირ მოზიდვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან, ფულის ბაზრების ინსტრუმენტების, შიდა საბანკო ანაბრების, სავალუტო სვოპების და სხვ. გამოყენებით) და სამოქმედო გეგმის შესახებ. გარდა ამისა, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი განსაზღვრავს ლიკვიდურობის შიდა ლიმიტებს (შეუზღუდავი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები) ლიკვიდურობის რისკის სამართავად.

არსებული ლიკვიდურობა იმართება სახაზინო განყოფილების მიერ, რომელიც მონაწილეობს ფულის ბაზრებში მიმდინარე ლიკვიდურობის მხარდაჭერისა და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციის მიზნით. ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის, ბანკი აკონტროლებს თავდებობებს, ასევე არსებულ სახსრებს, რათა დარწმუნდეს, რომ დაფინანსდება მიმდინარე ბიზნეს-ოპერაციები და უზრუნველყოფილი იქნება ფულადი სახსრების შესაბამისი დონე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო განაკვეთების და ფასების დონის ცვლილებით გამოწვეული რისკი, რომლის მერყეობა აუარესებს ბანკის მოგებას, კაპიტალს ან ბიზნეს მიზნების მიღწევის უნარს. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს, საკრედიტო მარჟებს, საქონლის ფასებს და აქციის კურსებს, რომლებსაც გასწევს ბანკი.

ძირითადი საბანკო რისკები, რომლებსაც გასწევს ბანკი მოიცავს სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ბანკი აკონტროლებს და ყოველთვიურად წარადგენს ანგარიშს საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ. სებ-ის პარამეტრების საფუძველზე ტარდება სტრეს-ტესტები. ბანკის ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს ფინანსური შესრულების მიმდინარე მაჩვენებლებს, აფასებს ბანკის მგრძობელობას სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისა და ბანკის მომგებიანობის შედეგის მიმართ.

ბანკი ანაბრებს და სესხებს უმეტესად სთავაზობს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ხოლო საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული ნასესხები სახსრები ცვალებადგანაკვეთიანია.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

„ფინკა ბანკი“ საპროცენტო განაკვეთის რისკის იდენტიფიცირებას ახდენს ყველა აქტივის, ვალდებულების და გარესაბალანსო პოზიციების ანალიზის საშუალებით, რომლებიც მგრძობიარე არიან საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ, კერძოდ:

- ადგილობრივ და გლობალურ ფულის ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის მონიტორინგი.
- ცვალებადი განაკვეთების მიმართ მგრძობიარე ნებისმიერი ახალი სახსრების მოზიდვის და არსებული სახსრების წინასწარი გადახდის შესაძლებლობის გადახედვა. ბანკის მიზანია საპროცენტო განაკვეთის ისეთი მარჟის შენარჩუნება, რომელშიც ინტეგრირებულია საპროცენტო განაკვეთის რისკი.

ბანკი ამცირებს საპროცენტო განაკვეთის რისკს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ დადგენილი პოლიტიკების ფარგლებში. საპროცენტო განაკვეთის რისკის შესამცირებლად, ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილება უნდა დამტკიცდეს ბანკის აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ და ასევე უნდა მოიცავდეს ბანკის რეგიონალური დირექტორის, აღმასრულებელი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ დამტკიცებას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ბანკი ცდილობს შეინარჩუნოს ნულთან მიახლოებული ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც ყოველდღიურად იმართება.

საბაზრო რისკების შესაფასებლად, ბანკში შექმნილია მოდელები თითოეული კონკრეტული რისკისთვის. სავალუტო რისკის შესაფასებლად, ბანკი იყენებს 99% VaR-ის მოდელს, ბოლო რამდენიმე წლისთვის ლარისა და აშშ დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური ცვლილების გათვალისწინებით 99%-ს (რაც მოიცავს ეკონომიკურ ციკლს). შედეგები გადაანგარიშდება 30-დღიანი ფლობის პერიოდზე.

„ფინკა ბანკი საქართველო“ სავალუტო რისკს აფასებს როგორც კონსოლიდირებულ მთლიან ღია სავალუტო პოზიციას, „მარეგულირებელი პარამეტრები, კომერციული ბანკების უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ღია პოზიციის დაანგარიშება და შენარჩუნება“.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული სავალუტო რისკის კოეფიციენტები (OCP ლიმიტები) ასევე რეგულარულად იმართება „ფინკა ბანკი საქართველოს“ აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს იმ დანაკარგების რისკს, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან ჩავარდნილი შიდა პროცესებით, ადამიანური რესურსებით, ან სისტემებით,

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ან გარე მოვლენებით. როდესაც კონტროლის მექანიზმები არაეფექტურია, საოპერაციო რისკები მატერიალიზდება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციული ზიანი, სამართლებრივი სირთულეები და დააყენოს ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა მართავს აღნიშნულ რისკებს ეფექტური შიდა კონტროლის გარემოს, რისკებზე რეაგირების და მათი შემცირების საშუალებით.

რისკის ადრეულ ეტაპზე გამოვლენის სასიგნალო მაჩვენებლად გამოიყენება რისკის ძირითადი ინდიკატორები, რომლის შესახებაც ანგარიშში ყოველკვარტლურად წარედგინება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს. ზემოთ თქმულთან ერთად, ბანკი რეგულარულად ატარებს რისკისა და კონტროლის თვითშეფასების პროცესს (RCSA) საოპერაციო რისკების პროაქტიული მართვის მხარდაჭერის გზით.

საოპერაციო რისკის მონაცემთა ბაზა გამოიყენება საოპერაციო რისკების მატერიალიზაციით გამოწვეული რისკის ზარალის შეფასების და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისთვის, მომავალში მსგავსი მოვლენების განმეორებით წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით.

მთლიანი წარმატებული საოპერაციო რისკის მართვა მიიღწევა შემდეგი სტრატეგიებით:

- ინციდენტის მიზეზის ანალიზი - არსებითი ზარალის განმეორებით წარმოშობის თავიდან ასარიდებლად, ხორციელდება პროცედურა, რომელიც იყენებს სისტემის ხარვეზების ანალიზს და ახორციელებს პრევენციულ აქტივობებს.
- დაზღვევა - სადაზღვევო პოლისები გამოიყენება „დაბალი სიხშირის და მაღალი ზეგავლენის“ ტიპის რისკებისთვის, რისკის მესამე მხარეზე გადასატანად.
- ადეკვატური პროცედურები - ბანკს აქვს პოლიტიკები, პროცესები და პროცედურები არსებითი საოპერაციო რისკების გასაკონტროლებლად და შესამსუბუქებლად.
- ანგარიშვალდებულება და მოვალეობათა სეგრეგაცია - ინტერესთა მიმდინარე კონფლიქტების შეფასება, მათი მაქსიმალურად შემცირება, რეგულარულად შემამსუბუქებელი კონტროლების გამოყენება ნებისმიერი ახალი ფუნქციის მინიჭებამდე.
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმები - ბიზნესის უწყვეტობის გეგმები გამოიყენება ბანკის უწყვეტი ფუნქციონირების ან მაღალი ზეგავლენის მოვლენის დადგომის შემთხვევაში, საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ზარალის მინიმუმადე დაყვანის მიზნით.
- საოპერაციო რისკის ლიმიტები - ლიმიტები განისაზღვრება მაღალი რისკის გარიგებებზე, კონკრეტულ პროდუქტებზე/მომსახურებებზე რისკის დონის შესამცირებლად (როგორც არის ფულადი ლიმიტები, სახაზინო ლიმიტები და საოპერაციო ლიმიტები).

შესაბამისობის რისკი

შესაბამისობის რისკი არის სამართლებრივი ან მარეგულირებელი სანქციების, არსებითი ფინანსური ზარალის, ან რეპუტაციის ზარალის რისკი, რომლებიც შესაძლოა განიცადოს ბანკმა

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

კანონებთან, წესებსა და სტანდარტებთან, ასევე მისი საბანკო საქმიანობებისთვის შესაბამისი ქცევის კოდექსებთან შეუსაბამობის გამო.

ორგანიზაციის მთლიანობის და პროფესიონალური და ეთიკური ქცევის რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით, „ფინკა ბანკი საქართველო“ ხელმძღვანელობა და ყველა თანამშრომელი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობების, რეგულაციებისა და სტანდარტების სრულად გააზრებასა და მკაცრად დაცვაზე ნებისმიერი განხორციელებული ბიზნეს-საქმიანობების პროცესში.

„ფინკა ბანკი საქართველო“ არსებული შესაბამისობის პოლიტიკის მიზანია ეფექტური კონტროლის და სტრუქტურის ჩამოყალიბება, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისობის რისკი ეფექტურად იყოს მართული და სრულად იყოს დაცული შესაბამისობა მმართველობისა და სამართლებრივ მოთხოვნებთან.

ეფექტური ფუნქციონირებისთვის, შესაბამისობის ფუნქცია ეფუძნება დამოუკიდებლობის, ავტორიზაციის (მათ შორის ინფორმაციაზე წვდომა) და ანგარიშგების პრინციპებს.

- შესაბამისობა არ არის ჩართული ბანკის რომელიმე სხვა საქმიანობაში, რამაც შესაძლოა შექმნას ინტერესთა კონფლიქტი;
- შესაბამისობას ეძლევა წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციაზე და პერსონალზე, რაც საჭიროა მისი პასუხისმგებლობების განსახორციელებლად. შესაბამისობის სამსახურს აქვს თავისუფალი და სრული წვდომა დირექტორატის დონის რისკისა და შესაბამისობის კომიტეტზე, პოლიტიკასთან ან ნებისმიერ სხვა პოლიტიკასთან, კანონთან, წესსა თუ რეგულაციასთან შეუსაბამობის შესახებ ანგარიშის შესადგენად.
- ანგარიშგების სისტემა უზრუნველყოფს, რომ სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა მიიღონ შესაბამისი მაღალი დონის ინფორმაცია, რაც მათ საშუალებას მისცემს გაიაზრონ ბანკის ზოგადი შესაბამისობის პროფილი და ყურადღება გაამახვილონ ბიზნესის არსებით და სტრატეგიულ შედეგებზე.

ბიზნესის უწყვეტობა და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი

ბანკი აღიარებს მის მიერ გასაწევი სერვისების მდგრადობისა და უწყვეტობის კრიტიკულობას. ამ მიმართულებით ბანკი მუდმივად აუმჯობესებს ბიზნესის უწყვეტობის გეგმას, ტესტირებებისა და მონიტორინგის საშუალებით და ამავდროულად საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელების გზით. პარალელურად ბანკი ატარებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს, სისტემების დაუცველობის შემცირების და სამუშაო გარემოში კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ბანკში რეგულარულად ტარდება ტრენინგები თანამშრომლებისთვის, ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების და ბიზნესის ს უწყვეტობის მზაობის მიღწევის მიზნით.

„ფინკას“ ვალდებულება სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით

„ფინკა“ თავის სოციალურ მისიას განიხილავს, როგორც ბიზნეს-მოდელის განუყოფელ ნაწილს - ამ პრიორიტეტს იზიარებს „ფინკას“ თითოეული შვილობილი კომპანია. „ფინკა“ ლიდერია სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით და ახორციელებს საკუთარ პრინციპებს,

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნული მისიის დაცვასა და პრიორიტეტულობას სოციალური საქმიანობის აუდიტის კომიტეტის საშუალებით. კომიტეტი „FINCA International“-ის დირექტორთა საბჭოს მუდმივმოქმედი ერთეულია და ის მიმოიხილავს და უზრუნველყოფს სოციალური პასუხისმგებლობის ფუნდამენტალურ პრინციპებზე დაქვემდებარებას, რომელიც „ფინკას“ ბიზნეს-მოდელის ბირთვს წარმოადგენს.

„ფინკა ბანკი საქართველო“ მუდმივად მუშაობს მისი სოციალური პასუხისმგებლობის შესრულების მაჩვენებლების გაძლიერებასა და ისეთი პროგრამების შემუშავებაზე, რომლებიც ზრდიან და აღრმავებენ კლიენტების სარგებელს. სოციალური ფუნქციის მონიტორინგის მექანიზმი ცხოვრების სტანდარტების შეფასების კვლევების სტატისტიკურ ანალიზს ეფუძნება, რომლებიც პერიოდულად ტარდება.

„ფინკას“ სოციალურ პასუხისმგებლობას განმარტავს შემდეგი სახით:

- გაფართოებული წვდომა ფინანსური სერვისებზე, მეტწილად მცირე, დაბალი შემოსავლის მქონე კლიენტებისა და მოსახლეობისათვის;
- დასაქმებისა და შემოსავლის დონის ზრდა;
- გაუმჯობესებული ცხოვრების სტანდარტები;
- პირადი მისწრაფებების ხელშეწყობა და განხორციელება;
- ორიენტირება მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობაზე;
- პასუხისმგებლობით და სამართლიანად მოქმედება ყველა დაინტერესებული მხარის და იმ საზოგადოებების მიმართ, რომლის ნაწილსაც ჩვენ წარმოვადგენთ.

თანამშრომელთა დაცვაზე მიმართული პოლიტიკები და პროცედურები

„ფინკა“ არის ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ფართომასშტაბიანი ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, გამოწვევებით სავსე ბაზრებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, პასუხისმგებლური ფინანსური სერვისების გამოყენებით.

ბრენდის დაპირება „უფრო ნათელი მომავლის შექმნა“ ყველა ჩვენი თანამშრომლისთვის, კლიენტისთვის და იმ საზოგადოებებში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, ჩვენი ბანკის ყველა მოქმედებასა და პროექტში ჩანს.

„ფინკა ბანკი საქართველოს“ თითოეული თანამშრომელი ხელს უწყობს და აზიარებს „ფინკას“ ბრენდის ღირებულებებს და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებებს, არა მხოლოდ გარე, არამედ შიდა კლიენტებისთვისაც. „ფინკა ბანკის“ მმართველთა გუნდი ორიენტირებულია გრძელვადიან ურთიერთობაზე თითოეულ თანამშრომელთან და ამ მიმართულებით მის მიზანს წარმოადგენს ისეთი პროექტების და პროგრამების განვითარება, რომლებიც თანამშრომლების პროფესიონალურ განვითარებასა და შენარჩუნებაზე იქნება ორიენტირებული. ქვემოთ აღწერილი რამდენიმე პოლიტიკა და სტანდარტი უზრუნველყოფს „ფინკა ბანკი საქართველოს“ თანამშრომელთა დაცვას და ორგანიზაციული ქცევის სწორი მიმართულებით წარმართვას.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანაბარი დასაქმება - ყველა თანამშრომლისთვის თანაბარი დასაქმებისა და პროფესიონალური განვითარების შესაძლებლობების შექმნის მიზნით, „ფინკა ბანკი საქართველოში“ დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებები ეფუძნება დამსახურებებს, კვალიფიკაციას და უნარ-ჩვევებს. „ფინკა ბანკი საქართველო“ არ ახდენს დასაქმების შესაძლებლობების და პრაქტიკის დისკრიმინაციას რასის, რელიგიის, წარმომავლობის, სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის ან კანონით დაცული ნებისმიერი სხვა მახასიათებლების მიხედვით.

გენდერული მრავალფეროვნება - „ფინკა ბანკი“ ხელს უწყობს გენდერული მრავალფეროვნებისა და თანასწორობის შესაძლებლობების ზრდას, ასევე ინკლუზიური კულტურის განვითარებას, სადაც ყველა სქესის ადამიანი იღებს თანაბარ შესაძლებლობებს, უფლებებს, მხარდაჭერას და შედეგებს.

„ფინკა ბანკი“ ორიენტირებულია გენდერული მრავალფეროვნების და თანასწორობის უზრუნველყოფაზე, რაც ხელს უწყობს თანაბარ ჩართულობას და მრავალფეროვნებას ხუთი ძირითადი მიმართულებით: მმართველობა და ხელმძღვანელობა, კლიენტები, დასაქმება და დაქირავება, განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები და სამუშაო გარემო.

„ფინკა“ აღიარებს გენდერული მრავალფეროვნების და თანასწორობის მნიშვნელობას სამუშაო სივრცეში და იმ კლიენტებთან მიმართებაში, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით, ჩვენი საქმიანობის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი ორგანიზაციის წარმატებისთვის. ჩვენი მიზანია გენდერული მრავალფეროვნების და თანასწორობის ხელშეწყობა, სამუშაოში ქალბატონების სრული და თანაბარუფლებიანი ჩართულობისთვის ყველა ბარიერის მოხსნის გზით. ჩვენ ვიძლევიტ შეუზღუდავ და სრულფასოვან წვდომას წამყვან ფუნქციებზე, სქესის მიუხედავად.

ქცევითი სტანდარტები და ქცევის კოდექსი - „ფინკა ბანკი საქართველოს“ ბიზნეს ოპერაციების და რეპუტაციის წარმატებულობა ეფუძნება სამართლიანი საქმიანობის პრინციპებს და ჩვენი თანამშრომლების ეთიკურ ქცევას. მთლიანობასა და განვითარებასთან დაკავშირებით ჩვენი რეპუტაცია მოითხოვს სულისკვეთებას და ყველა მოქმედი კანონისა და რეგულაციის დაცვას, ასევე სკრუპულოზურ დამოკიდებულებას ქცევისა და პერსონალური ხელშეუხებლობის უმაღლესი სტანდარტების მიმართ. „ფინკა ბანკი საქართველოს“ ქცევის სტანდარტები და „FINCA International“-ის ქცევის კოდექსი მართავენ ბიზნეს ეთიკის მიმართულებებს.

„ფინკა ბანკი საქართველოს“ ხანგრძლივი წარმატება ეფუძნება მომხმარებლების ნდობას და ჩვენი მიზანია ამ ნდობის შენარჩუნება. თანამშრომლებს ვალდებულება გააჩნია „ფინკა ბანკი საქართველოს“, მისი კლიენტების და აქციონერების წინაშე, იმოქმედონ ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ნდობის შენარჩუნება.

„ფინკა ბანკი საქართველო“ ყოველთვის შეესაბამება ყველა მოქმედ კანონმდებლობას და რეგულაციას და აქვს მოლოდინი, რომ მისი თანამშრომლებიც საქმიანობის განხორციელებისას იმოქმედებენ ამ ნიმუშის, სულისკვეთებისა და ძალისხმევის შესაბამისად, ყველა შესაბამისი

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

კანონისა და რეგულაციის დაცვის და ნებისმიერი უკანონო, არაკეთილსინდისიერი ან არაეთიკური ქცევის უგულვებელყოფის გზით.

ცხელი ხაზის (მამხილებელი) პოლიტიკა - ამ პოლიტიკის მიზანია ყველა თანამშრომლის წახალისება კეთილი ნებით გასცენ ინფორმაცია არასწორი ქმედების შესახებ, რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს კომპანიაზე, კომპანიის კლიენტებზე, აქციონერებზე, თანამშრომლებზე, ინვესტორებზე ან საზოგადოებაზე, იმ დაშვებით, რომ ისინი არ გახდებიან დასაქმებასთან დაკავშირებული რაიმე ნეგატიური მოქმედების მსხვერპლი. ეს პოლიტიკა წახალისებს თანამშრომლებს კონფიდენციალურად ან ანონიმურად განაცხადონ ნებისმიერი უკანონო ან თაღლითური აქტის შესახებ, რომელსაც დაუშვებს თანამშრომელი ან ხელმძღვანელობა.

თანამშრომლებს ასევე მკაცრად მოუწოდებენ ზედამხედველებთან, მენეჯერებთან, კადრების განყოფილებასთან ან სხვა შესაბამის თანამშრომლებთან განიხილონ ნებისმიერი ეჭვი, საუკეთესო და ეთიკური მოქმედება კონკრეტულ ვითარებაში.

სექსუალური და სხვა უკანონო შევიწროება - „ფინკა“ მოწოდებულია ისეთი სამუშაო გარემოს შექმნაზე, რომელიც თავისუფალია დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისა და ისეთი ქცევისაგან, რომელიც მოიცავს იძულებით თუ დესტრუქციულ დევნას, მათ შორის სექსუალურ შევიწროებას. აკრძალულია პიროვნების სქესის, რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ასაკის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის ან კანონით დაცული ნებისმიერი სხვა მახასიათებლის საფუძველზე განხორციელებული მოქმედება, გამონათქვამი, ხუმრობა ან კომენტარი.

სექსუალური შევიწროება განისაზღვრება, როგორც არასასურველი სექსუალური დევნა, ან სექსუალური ხასიათის ვიზუალური, სიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა. ეს განმარტება მოიცავს შეურაცხმყოფელი ქცევის მრავალ ფორმას და ასევე იმავე სქესის ადამიანის სექსუალურ შევიწროვებას. ამასთან, სავალდებულო სწავლების სახით, კადრების მართვის დეპარტამენტი ატარებს ინფორმაციის განახლების ტრენინგს (დამოუკიდებელი მუშაობა და ტესტი) თემაზე - სექსუალური შევიწროება.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველოს“ აქციონერებსა და დირექტორატს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველოს“ („ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი დასკვნით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებელი პირი, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობის ანგარიშში, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას. მასზე ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ბანკის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (მოქმედი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს მოქმედი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ბანკის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძველიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო

გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის მოქმედი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბანკის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ბანკი აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ პროცედურები შევარჩიეთ და შევასრულეთ ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვის, ანალიზისა და დოკუმენტაციის გაცნობის, ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შედარების გზით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშებისა და შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ყველა არსებით ასპექტში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისია.

სტიუარტ ლეიტონი
შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

თბილისი, საქართველო
26 მარტი, 2021 წ.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	44,367,792	34,066,201
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	7	8,170,262	10,120,021
კლიენტებზე გაცემული სესხები	8	194,486,360	201,418,207
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტირება სასესხო ინსტრუმენტებში	9	28,526,129	18,820,711
მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	10	511,816	708,973
ძირითადი საშუალებები	11	3,252,987	3,896,215
აქტივები გამოყენების უფლებით	16	5,289,643	6,068,320
არამატერიალური აქტივები	12	1,255,852	1,931,247
სხვა აქტივები	13	1,841,462	2,291,648
სულ აქტივები		287,702,303	279,321,543
ვალდებულებები:			
ბანკების დეპოზიტები	14	29,605,548	15,018,976
კლიენტების დეპოზიტები	15	166,672,277	169,133,192
ნასესხები სახსრები	17	18,215,004	24,020,550
საიჯარო ვალდებულებები	16	5,976,765	6,290,369
მოგების მიმდინარე გადასახადი		-	400,315
სხვა ვალდებულებები	8	1,083,659	1,204,047
სუბორდინირებული ვალი	9	16,323,554	14,269,762
გადავადებული მოგების გადასახადი	27	451,940	180,094
სულ ვალდებულებები		238,328,747	230,517,305
კაპიტალი:			
ბანკის აქციონერებთან დაკავშირებული კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	20	25,643,200	25,643,200
გაუნაწილებელი მოგება		23,730,356	23,161,038
სულ კაპიტალი		49,373,556	48,804,238
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		287,702,303	279,321,543

ბანკის დირექტორატის სახელით:

ირაკლი ელაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

თენგიზ თავაძე
ფინანსური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

27-134 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2020 წ.	2019 წ.
საპროცენტო შემოსავალი	21	55,257,487	60,439,770
საპროცენტო ხარჯი	21	(20,972,878)	(23,463,583)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე	21	34,284,609	36,976,187
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი	22	(5,209,929)	(2,183,916)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		29,074,680	34,792,271
შემოსავალი მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	10	1,273,514	1,162,873
სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	23	(1,808,469)	(1,928,012)
მოდულიზირების ზარალი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	8	(1,808,699)	(423,295)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	24	2,238,597	2,468,675
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი	24	(53,639)	(50,481)
სხვა შემოსავალი		734,323	997,459
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		575,627	2,227,218
საოპერაციო შემოსავალი		29,650,307	37,019,489
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	25	(15,103,807)	(14,289,450)
ცვეთა და ამორტიზაცია	11, 12, 16	(4,296,279)	(4,715,366)
სხვა საოპერაციო ხარჯები	26	(9,409,057)	(10,404,566)
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		841,164	7,610,107
მოგების გადასახადის ხარჯი	27	(271,846)	(817,519)
წლის წმინდა მოგება		569,318	6,792,588
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		569,318	6,792,588

ბანკის დირექტორატის სახელით:

ირაკლი ელაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

თენგიზ თავაძე
ფინანსური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

27-134 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასარულებული წლისთვის
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ბანკის აქციონერების მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი		25,643,200	16,368,450	42,011,650
წლის სრული შემოსავალი		-	6,792,588	6,792,588
2019 წლის 31 დეკემბერი		25,643,200	23,161,038	48,804,238
წლის სრული შემოსავალი		-	569,318	569,318
2020 წლის 31 დეკემბერი		25,643,200	23,730,356	49,373,556

ბანკის დირექტორატის სახელით:

ირაკლი ელაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

თენგიზ თავაძე
ფინანსური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

27-134 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2020 წ.	2019 წ.
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დასაბეგრი მოგება		841,164	7,610,107
არაფულადი მუხლების შემთხვევაში კორექტირება:			
პროცენტები აქტივებზე გაუფასურების ზარალის ანარიცხების შექმნა	22	5,209,929	2,183,916
ზარალი/(მოგება) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(80,357)	(60,294)
იჯარის მოდიფიცირების ეფექტი		-	(372,602)
საკურსო სხვაობები, წმინდა	23	2,236,203	1,444,441
ზარალი/(მოგება) მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ		197,156	(1,459,726)
ფინანსურ აქტივებზე			
ცვეთა და ამორტიზაცია	11,12,16	4,296,279	4,715,366
შემომავალი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		12,700,374	14,061,208
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/(კლება):			
მოთხოვნები ბანკების მიმართ		-	1,058,521
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში		3,281,181	5,740,446
კლიენტებზე გაცემული სესხები		4,872,970	15,428,469
წმინდა ცვლილება დარიცხულ პროცენტში		(6,923,214)	(110,539)
სხვა აქტივები		91,209	583,484
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება):			
კლიენტების ანაზრები		(4,680,307)	20,186,285
ბანკების ანაზრები		14,573,144	9,210,000
სხვა ვალდებულებები		(198,841)	87,309
დასაბეგრი ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		23,716,516	66,245,183
გადახდილი მოგების გადასახადი		(400,315)	(35,348)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		23,316,201	66,209,835
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხები		(536,364)	(1,180,874)
ამონაგები ძირითადი საშუალებების განკარგვიდან		6,721	88,332
გადახდები სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტირებისთვის		(32,002,822)	(18,655,199)
სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციების შექმნა		24,675,000	19,753,000
წმინდა ფულადი ნაკადების (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(7,857,465)	5,259
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	19	-	(6,451,300)
ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები	17	21,340,007	1,711,300
ნასესხები სახსრების დაფარვა	17	(26,827,142)	(60,151,466)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(2,826,143)	(3,006,885)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების გადინება		(8,313,278)	(67,898,351)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფულად სახსრებზე		3,156,133	156,108
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		7,145,458	(1,683,257)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6	34,066,201	35,593,350
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	6	44,367,792	34,066,201

ბანკის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მიღებულმა ან გადახდილმა პროცენტმა 40,893,924 ლარი და 22,403,671 ლარი შეადგინა (შესაბამისად). ბანკის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მიღებულმა ან გადახდილმა პროცენტმა 50,107,217 ლარი და 39,808,621 ლარი შეადგინა (შესაბამისად) (დეტალური გადათვლები იხილეთ 21-ე შენიშვნაში).

დირექტორატის სახელით:

ირაკლი ელაშვილი
დამსრულებელი დირექტორი

თენგიზ თავაძე
ფინანსური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

2021 წლის 26 მარტი
თბილისი, საქართველო

27-134 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

1. ორგანიზაცია

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია 2007 წლის 20 დეკემბერს თბილისში (საქართველო), საიდენტიფიკაციო ნომრით: 205235262. ბანკის უპირატესი საქმიანობაა ფიზიკური პირებისთვის მიკრო და მცირე სესხების შეთავაზება და ბანკი საქმიანობას ახორციელებს საერთო საბანკო საქმიანობის ლიცენზიის №252 საფუძველზე. სესხები გაიცემა როგორც ადგილობრივ, ისე - უცხოურ ვალუტებში.

სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ 100%-ის მფლობელია „FINCA Microfinance Coöperatief U.A.“, ნიდერლანდების ამსტერდამის სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრში ნომრით 53004698 რეგისტრირებული კოოპერატივი, რომელიც ამსტერდამშია განთავსებული (შემდგომში „კოოპერატივი“).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოოპერატივის წევრები იყვნენ:

- შპს „FINCA Microfinance Holding Company“, ამერიკის შეერთებული შტატების დელავერის შტატის კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იურიდიული მისამართით: ამერიკის შეერთებული შტატები, 198908 დელავერი, ვილმინგტონი, ოთახი 400, ცენტერვილ როუდი 2711. შპს „FINCA Microfinance Holding Company“ ფლობს 99 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის A წევრი და 1 ხმის უფლებას, როგორც B წევრი.
- შპს „FINCA International“, ამერიკის შეერთებული შტატების მერილენდის შტატის კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იურიდიული მისამართით: ამერიკის შეერთებული შტატები, 21202 მერილენდი, ბალტიმორი, ისთ ჩეის სთრიტი №11. შპს „FINCA International“ ფლობს 1 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის B წევრი.

ბანკის იურიდიული მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილია: საქართველო, თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71. ბანკს 37 ფილიალი (2019 წ.: 36) სერვის ცენტრი აქვს საქართველოში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 511-ს (2019 წ.: 541 თანამშრომელი).

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „FINCA Microfinance Holding Company“-ს ფლობდნენ შემდეგი პარტნიორები:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
პირველი დონის აქციონერები/გამომწვეული სააქციო კაპიტალის მფლობელები:		
„FINCA International, Inc.“	65.89%	62.93%
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	14.27%	14.27%
„Kreditanstalt für Wiederaufbau“ (KfW)	8.87%	8.87%
„Nederlandse Financierings Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V.“ (FMO)	7.25%	7.25%

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

„Triodos Investment Management“	2.05%	2.05%
„Triple Jump“ (ASN-NOVIB FONDS)	1.67%	1.67%
„Credit Suisse Microfinance Fund Management Company“	-	2.96%
სულ	100%	100%

უმრავლესობის წილის მფლობელი პარტნიორი „FINCA International, Inc.“ არის ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული არაკომერციული კორპორაცია და, როგორც ასეთი, მისი წევრები არ ფლობენ წილს კომპანიაში და მათ არ აქვთ ეკონომიკური უფლებები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „FINCA International, Inc.“-ის წევრები არიან: რუპერტ სკოფილდი, ჯონ ჰეტჩი, რობერტ ჰეტჩი, რიჩარდ უილიამსონი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე უფლებამოსილება გასცა ბანკის დირექტორატმა 2021 წლის 26 მარტს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

2. შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. ამ დაშვების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ბანკის ფინანსური მდგომარეობა, მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმდინარე ვალდებულებებმა მის მიმდინარე აქტივებს შესაბამისად 10,741,434 ათასი ლარით და 9,925,087 ლარი გადააჭარბა.

10,741,434 ათასი ლარის ნეგატიური ლიკვიდურობის დეფიციტი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მომხმარებლების მიმდინარე ანგარიშების ნაშთები შესულია ვალდებულებებში სამ თვეზე ნაკლები ვადით, ლიკვიდურობის შესახებ შენიშვნებში, ხოლო, მოსალოდნელი დაფარვის ვადების თანახმად, ეს სამომხმარებლო ანგარიშები ბანკის გრძელვადიანი და სტაბილური დაფინანსების წყაროს წარმოადგენენ. შესაბამისად, ნეგატიური ლიკვიდურობის დეფიციტი 1 წლამდე სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით, მნიშვნელოვნად მცირდება და დადებითი ხდება, თუ გამოიყენება ქცევითი დაფარვის ვადები. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 32-ე შენიშვნა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა დაარღვია ერთი კოვენანტი ერთ კრედიტორთან. დარღვევა არ წარმოქმნის ვალდებულების შეუსრულებლობას და ის არ მოქმედებს ბანკის მოკლევადიანი ლიკვიდურობის პოზიციასზე, რადგან სესხის დაფარვის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ვადა დგება 2021 წლის აპრილში და ხდება მისი გადაკლასიფიცირება „3-დან 6 თვემდე“, კატეგორიიდან „1 თვემდე“ კატეგორიაში ლიკვიდურობის განმარტებით შენიშვნებში.

ბანკის ხელმძღვანელობა თვლის, რომ, მიმდინარე პროგნოზების და ღონისძიებების საფუძველზე, ბანკს საკმარისი რესურსები აქვს განჭვრეტად მომავალში საქმიანობის გასაგრძელებლად და შესაბამისია ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული დაშვებები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია *ქართულ ლარში*, თუკი სხვა რამ არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას ბანკი იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გაცხადების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება ანალოგიურად განისაზღვრება.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება დაყოფილია 1-ლი, მე-2 და მე-3 დონეებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მათი სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მონაწილე მონაცემები დაკვირვებადი და, მთლიანობაში, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მონაცემები მათი სამართლიანი ღირებულების გასაანგარიშებლად. აღნიშნული დონეები განმარტებულია ქვემოთ.

- პირველი დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს აქტიურ ბაზრებზე კოტირებულ ფასებს (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლის შეფასებაც შეუძლია საწარმოს შეფასების თარიღში.
- მეორე დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს მონაცემებს, გარდა პირველ დონეში განსაზღვრული კოტირებული ფასებისა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის; და
- მესამე დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს აქტივისა და ვალდებულებისთვის;

ბანკი საქართველოშია რეგისტრირებული და სააღრიცხვო ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მუხლების თანამიმდევრულობა მოცემულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (გრძელვადიანი) დავალიანების ამოღებისა და ანგარიშსწორების ოპერაციების ანალიზი წარმოდგენილია 32-ე შენიშვნაში.

ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც საქმიანობს ბანკი (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). ბანკის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაიქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაიქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3. ფინანსური ანგარიშგების ახალი და შეცვლილი საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

მიმდინარე წელს, ბანკმა გამოიყენა ფასს სტანდარტების და საბჭოს მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების ქვემოთ მითითებული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია ყოველწლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მათ მიღებას რაიმე სახის არსებითი გავლენა არ ჰქონია განმარტებით შენიშვნებზე ან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

საპროცენტო განაკვეთის
ბენჩმარკების
ფუნდამენტური რეფორმა
ფასს 9 და ფასს 7-ის
ცვლილება

2019 წელს ბასსს-მა გამოსცა „საპროცენტო განაკვეთის საბაზისო რეფორმა“ (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ის ცვლილება). ეს ცვლილებები ახდენენ კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების კორექტირებას, რათა ჰეჯირების აღრიცხვამ განაგრძოს შესაბამისი ჰეჯირება გაურკვევლობის პერიოდში, სანამ ჰეჯირებული ერთეულები ან შესაბამისი ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომლებზეც მოქმედებს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის საბაზისო მონაცემები არ შეიცვლება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების ფუნდამენტური რეფორმის შედეგად.

ცვლილებები არ შეესაბამება ბანკს, რადგან ის არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მისი საბაზისო საპროცენტო განაკვეთის დავალიანებებისთვის. შესაბამისად ამ ცვლილებების გამოყენება გავლენას არ იქონიებს ბანკის აღრიცხვაზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ცვლილებებით ასევე იწვევება ფინანსური ანგარიშგების გამოცემასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები ფასს 7-ის საფუძველზე, ჰეჯირების ურთიერთობებისთვის, რომლებიც წარმოადგენს ფასს 9-ის ცვლილებით შემოღებული გამონაკლისების საგანს.

კოვიდ-19-თან
დაკავშირებული საიჯარო
შეღავათები ფასს 16-ის
ცვლილება

2020 წლის მაისში, ბასსს-მა გამოსცა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ფასს 16-ის ცვლილება), რომელიც პრაქტიკულ შეღავათებს აძლევს მოიჯარეებს საიჯარო შეღავათების მიმართულებით, რომლებიც წარმოიშვება უშუალოდ კოვიდ-19-ის გავლენით, ფასს 16-ის პრაქტიკული მიდგომის დანერგვის გზით. პრაქტიკული მიდგომა მოიჯარეს საშუალებას აძლევს თავად შეაფასოს კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები იჯარის მოდიფიცირებაა თუ არა. მოიჯარე, რომელიც ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს, უნდა აღრიცხოს ნებისმიერი ცვლილება საიჯარო გადასახდელის სახით, ფასს 16-ის საფუძველზე კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათების ფარგლებში, ისე, თითქოს ცვლილება არ იყოს საიჯარო მოდიფიცირება. „ფინკა ბანკი საქართველო“ არ გამოუყენებია კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათის მეთოდი, ჩაატარა შეცვლილი საიჯარო ხელშეკრულებების შეფასება და დაასკვნა, რომ ისინი მოდიფიცირებებს წარმოადგენენ.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ფასს სტანდარტებში
კონცეპტუალური
საფუძვლების საცნობარო
ინფორმაციის ცვლილება

ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად მიიღო ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაციის ცვლილებები. ეს ცვლილებები მოიცავს შემდგომ ცვლილებებს შესაბამის სტანდარტებში, ისე, რომ ისინი ახალ ჩარჩოს ქმნიან. თუმცა ყველა ცვლილება არ აახლებს საფუძველთან დაკავშირებულ საცნობარო ინფორმაციას და განმარტებებს ამ ტერმინებთან დაკავშირებით, ისე, რომ ისინი ნიშნავდეს შეცვლილ კონცეპტუალურ საფუძველს. რამდენიმე განმარტება განახლდება მხოლოდ იმის საჩვენებლად, საფუძვლის რომელ ვერსიაზე მიუთითებენ ისინი (ბასსკ-ის საფუძველი მიღებული ბასსს-ს მიერ 2001 წელს, ბასსს-ს 2010 წლის საფუძველი ან 2018 წელს ახალი შეცვლილი საფუძველი) ან იმის განსაზღვრად, რომ სტანდარტში მოცემული განმარტებები არ განახლებულა შეცვლილ კონცეპტუალურ საფუძველში შემუშავებული ახალი განმარტებებით.

შეცვლილი სტანდარტებია ფასს 2, ფასს 3, ფასს 5, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასიკ 12, ფასიკ 19, ფასიკ 20, ფასიკ 22 და იმკ 32.

ფასს 3-ის ცვლილება
„საწარმოს განმარტება“

მიმდინარე წელს ჯგუფმა პირველად მიიღო ფასს 3-ის ცვლილება. ცვლილებები განსაზღვრავენ, რომ რადგან საწარმოებს აქვთ ნაწარმი, ეს უკანასკნელი არ მოითხოვება საქმიანობების და აქტივების ინტეგრირებული ნაკრებისთვის, საწარმოდ კვალიფიცირებისთვის. საწარმოსთან დაკავშირებით საქმიანობების და აქტივების შემენილი ნაკრები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემავალ და შემდგომ პროცესს, რომელიც ერთობლიობაში მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ნაწარმის შექმნის უნარს.

ცვლილებით უქმდება შეფასება იმის შესახებ, ბაზრის მონაწილეებს შესწევთ თუ არა უნარი ჩაანაცვლონ ნებისმიერი არარსებული ნაწარმი ან პროცესი და განაგრძონ პროდუქციის წარმოება. ცვლილებებით ასევე განისაზღვრება დამატებითი სახელმძღვანელო მითითებებიც, რომლებიც დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში არსებითი პროცესის შექმნა მოხდა თუ არა.

ცვლილებები ადგენენ შერჩევითი კონცენტრაციის ტესტს, რაც გამარტივებული შეფასების საშუალებას იძლევა იმის განსაზღვრად, შექმნილი საქმიანობების და აქტივების ნაკრები წარმოადგენს თუ არა ბიზნესს. შერჩევითი კონცენტრაციის ტესტის ფარგლებში, საქმიანობების და აქტივების შემენილი ნაკრები არ არის საწარმო, თუ შემენილი არსებითად ყველა მთლიანი აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირდება ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან მსგავსი აქტივების ჯგუფში.

ცვლილებები გამოიყენება პროაქტიურად საწარმოთა ყველა გაერთიანებისთვის და აქტივების შექმნისთვის,

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ბასს 1 და ბასს 8-ის
ცვლილება „ტერმინის
„არსებითი“ განმარტება“

რომლისთვისაც ნასყიდობის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი ან ამ თარიღის შემდგომ.

მიმდინარე წელს ჯგუფმა პირველად მიიღო ბასს 1 და ბასს 8-ის ცვლილება. ცვლილება ამარტივებს ბასს 1-ში ტერმინის „არსებითი“ მნიშვნელობას და მისი მიზანი არ არის ფასს სტანდარტებში არსებითობის საბაზისო კონცეფციის ცვლილება. „ბუნდოვანი“ არსებითი ინფორმაციის კონცეფცია არაარსებითი ინფორმაციით შევიდა ახალი განმარტების ნაწილში.

კლიენტებზე მოქმედი არსებითობის ზღვარი შეიცვალა ტერმინიდან „შესაძლოა იმოქმედოს“ ტერმინით „გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია იმოქმედოს“.

ტერმინის „არსებითი“ განმარტება ბასს 8-ში ჩანაცვლდა ბასს 1-ში მოცემული „არსებითის“ განმარტების საცნობარო ინფორმაციით. ამასთან, ბასს-მ ასევე შეცვალა სხვა სტანდარტები და კონცეპტუალური საფუძვლები, რომლებიც მოიცავს ტერმინის „არსებითის“ განმარტებას ან მიმართებას ამ ტერმინზე თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღში ბანკს არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და შეცვლილი ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში:

ფასს 17 ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში	სადაზღვევო ხელშეკრულებები „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“
ცვლილებები ბასს 1-ში	„ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიცირება“
ცვლილებები ფასს 3-ში ცვლილებები ბასს 16-ში	„კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“ „ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დანომუშალებისამებრ გამოყენებამდე“
ცვლილებები ბასს 37-ში	„დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“
ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებების 2018-2020 წლების ციკლი	ფასს 1-ის ცვლილება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 იჯარა, ბასს 41 სოფლის მეურნეობა

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ზემოთ მითითებული სტანდარტების მიღებას არსებითი გავლენა ექნება ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

a. საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დამატებით, გარდა შემდეგისა:

- შეძენილი ან გაცემული გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა. ამ ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებიდან ბანკი ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე იყენებს კრედიტზე მორგებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის შეძენილი ან გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდეგ ხდებიან გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის, ბანკი შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფინანსური აქტივებთან ან ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას ბანკი მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აფასებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გამოყენებით, გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტირების განუყოფელ ნაწილს.

b. გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის საკომისიოს გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. თუ მოსალოდნელია, რომ სესხის გაცემის ვალდებულება შედეგად გამოიღებს კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება აღნიშნული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. თუ მოსალოდნელი არ არის, რომ სესხის გაცემის ვალდებულება კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას განაპირობებს, ხდება სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიოს აღიარება სესხის გაცემის ვალდებულების დარჩენილი პერიოდის მოგებაში ან ზარალში. თუ სესხის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

გაცემის ვალდებულების ვადა სესხის გაუცემლად ამოიწურება, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო ვადის გასვლისთანავე აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. სესხის მომსახურების ღირებულების აღიარება ხდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე.

ყველა დანარჩენი გასამრჯელოს და საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურებების გაწევისთანავე.

c. ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და არაფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულების აღიარებისა და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ფინანსური აქტივების აღირიცხვის და ფინანსური ვალდებულებების აღირიცხვის მნიშვნელოვანი ასპექტების ფუნდამენტალურ ცვლილებებს იწვევს.

ბანკმა მიიღო შედეგობრივი ცვლილებები ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელიც მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობის შესახებ საწარმოსთვის და იმ რისკების ხასიათისა და მასშტაბის შესახებ, რომლებიც წარმოიშობა ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ პირობებში.

აღიარება და თავდაპირველი შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ბანკის ფინანსურ მდგომარეობაში, როდესაც ბანკი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც, ერთეულისთვის, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში, ემატება მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

d. ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის კლასიფიკაცია ზოგადად იმ ბიზნეს მოდელს ეფუძნება, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის მართვა. ეს კლასიფიკაცია ასევე სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს ითვალისწინებს.

ფინანსური აქტივები

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანაც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

არა სავაჭროდ ფლობილი კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას ბანკს შეუძლია გამოუთხოვადად შეიყვანოს შემდგომი ცვლილებები ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში სხვა სრულ შემოსავალში. ეს გადაწყვეტილება თითოეულ ინვესტიციაზე ცალკე მიიღება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული შეფასებულად ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ზემოთ განსაზღვრული ფორმით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ბანკს შეუძლია შეაფასოს თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ამგვარი ქმედება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

შეფასების კატეგორიებში კლასიფიცირებული ბანკის ფინანსური აქტივებია შემდეგია:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები (SPPI)	შეფასება კატეგორია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და	ამორტიზებული ღირებულება

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს არ წარმოადგენს ფულადი ნაკადები	ამორტიზებული ღირებულება
ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს არ წარმოადგენს ფულადი ნაკადები	ამორტიზებული ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს არ წარმოადგენს ფულადი ნაკადები	ამორტიზებული ღირებულება
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	სხვა ბიზნეს-მოდელი	პროცენტის ცალკე გადახდებს არ წარმოადგენს ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს არ წარმოადგენს ფულადი ნაკადები	სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში FVPL (სავალდებულო)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს ფულადი ნაკადები	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს მოდელის შეფასება

ბანკი ახდენს იმ ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელურ დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. ამგვარი ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- დამტკიცებული პოლიტიკები და პორტფელების მიზნები, ასევე ამ პოლიტიკების პრაქტიკაში გამოყენება. კონკრეტულად, როდესაც ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართულია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის ვალდებულებების ხანგრძლივობასთან შესაბამისობაზე, რომლითაც ხდება ამგვარი აქტივების დაფინანსება ან ფულადი ნაკადების რეალიზაცია აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის მაჩვენებლის შეფასება ან ბანკის ხელმძღვანელობისთვის ანგარიშგება;
- რიკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს-მოდელის მაჩვენებლებზე (ასევე ამ ბიზნეს მოდელში ფლობილი ფინანსური აქტივები) და მისი სტრატეგია იმისა, თუ როგორ ხდება ამგვარი რისკების მართვა;
- როგორ ხდება მენეჯერების კომპენსირება, ე.ი. ეფუძნება თუ არა კომპენსაცია მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- წინა პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები მომავალი გაყიდვის საქმიანობის შესახებ. თუმცა, ინფორმაცია გაყიდვების შესახებ არ არის გათვალისწინებული განცალკევებით. ის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

წარმოადგენს მთლიანი შეფასების ნაწილს იმისა, თუ როგორ მიიღწევა ფინანსური აქტივის მართვაზე ბანკის გაცხადებული მიზანი და როგორ ხდება ფულადი ნაკადების რეალიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა ფლობაც ან მართვა გაყიდვის მიზნით ხდება, ასევე რომელთა მაჩვენებელი ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, რადგან მათი ფლობა არ ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით.

შეფასება იმისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს

ამ შეფასების მიზნებისთვის „ძირითადი თანხა“ ნიშნავს ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ არის ფულის დროის ღირებულების და კონკრეტული დროის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის, ასევე სხვა ძირითადი საკრედიტო რისკების და ხარჯების გადასახადი (მაგ.: ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს, ბანკი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას იმისა, რომ ფინანსური აქტივი მოიცავს სახელშეკრულებო პირობას, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან რაოდენობა, როდესაც არ ხდება ამ პირობის დაცვა. შეფასების გაკეთებისას, ბანკი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების თანხას და ვადებს;
- დავალიანების მახასიათებლებს;
- ავანსებს და გახანგრძლივებულ ვადებს; და
- ვადები, რომლებიც ზღუდავენ კონკრეტული აქტივებიდან ბანკის ფულადი ნაკადები მოთხოვნას (ე.ი. შემოუბრუნებელი სესხები); და
- თვისებები, რომლებიც ცვლიან დროში ფულის ღირებულების გადასახდელებს (მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდულ განულებას).

I. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკნოტებსა და მონეტებს სალაროში, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებულ შეუზღუდავი წვდომის ნაშთებს და მაღალ ლიკვიდურ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარების თარიღიდან სამთვიანი ან ნაკლები თავდაპირველი ვადით, რომლებსაც აქვს სამართლიანი ღირებულების შეცვლის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

უმნიშვნელო რისკი და გამოიყენება ბანკის მიერ მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

II. სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში

სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ბანკის მიერ ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად. გარდა ამისა, ისინი არ მიიჩნევა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელ ნაწილად, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის.

III. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი ავანსად გასცემს თანხას კონტრაქტ ბანკებზე, სამ თვეზე მეტი თავდაპირველი დაფარვის ვადით. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

IV. ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში მოიცავს ინვესტიციებს დეპოზიტურ სერთიფიკატში, რომელსაც გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი. ისინი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნარჩენი პირდაპირი საოპერაციო ხარჯების ჩათვლით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

V. რეკლასიფიკაცია

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია არ ხდება, გარდა პერიოდისა მას შემდეგ, რაც ბანკი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის საფუძველზეც ბანკი ფინანსური აქტივების ფლობს, შეიცვლება, მოხდება გავლენის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები პერსპექტიულად გამოიყენება პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღიდან, ბიზნეს-მოდელი ცვლილების შემდეგ, რაც იწვევს ბანკის ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას. მიმდინარე ფინანსური წლის და წინა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, არ მომხდარა ცვლილება იმ ბიზნეს-მოდელში, რომელშიც ბანკი ფინანსურ აქტივებს ფლობს და შესაბამისად რეკლასიფიკაციები არ განხორციელდება. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში გათვალისწინდება სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე ქვემოთ აღწერილი ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ.

VI. გაუფასურება

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს იმ ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული (POCI) ფინანსური აქტივების გარდა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს ზარალის რეზერვში ოდენობით, რომელიც უტოლდება:

- 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ე.ი. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც წარმოიშევა დეფოლტის შემთხვევებიდან ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (შეესაბამება 1-ელ ეტაპს); ან
- სიცოცხლის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ე.ი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (შეესაბამება მე-2 და მე-3 ეტაპებს).

ზარალის რეზერვი სიცოცხლის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც საჭიროა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, თუ ამგვარი ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

სხვა დებიტორული დავალიანების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის მიმდინარე ღირებულებების ვარაუდზე დაფუძნებულ შეფასებას. ისინი ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის მიმართ არსებული დავალიანების ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომლის მიღებასაც ბანკი მოელის სხვადასხვა მომავალი ეკონომიკური სცენარის შეწონვის განხორციელების და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების გზით.

„ფინკა ბანკი“ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ საფუძველზე, სესხების იმ პორტფელებისთვის, რომლებსაც ეკონომიკური რისკის მსგავსი მახასიათებლები აქვთ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების შესახებ მოცემულია 32-ე შენიშვნაში, მათ შორის ინფორმაცია კოლექტიურ საფუძველზე ინსტრუმენტების შეფასებისას მათი დაჯგუფების შესახებ.

გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებული ფინანსური აქტივები მე-3 ეტაპის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

აქტივებს წარმოადგენს. გაუფასურების მტკიცებულება მოიცავს ემპირიულ მონაცემებს შემდეგი მოვლენების შესახებ:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ბანკის მიერ სესხის ან ავანსის რესტრუქტურისა და ისეთი პირობებით, რომელსაც ბანკი სხვაგვარად არ გაითვალისწინებდა;
- აღნიშნული ფასიანი ქაღალდის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო; ან
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია.

შესაძლებელი არ უნდა იყოს ერთი კონკრეტული მოვლენის გამოვლენა - ფინანსური აქტივების გაუფასურება შესაძლოა გამოეწვიოს რამდენიმე მოვლენის ერთობლიობას. თითოეულ ანგარიშგების თარიღში ბანკი აფასებს გაუფასურებულია თუ არა სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ან სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს.

სესხი გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც მსესხებელს მიენიჭება დათმობა მისი ფინანსური პირობების გაუარესების გამო, სანამ წარმოდგენილი არ იქნება მტკიცებულება იმისა, რომ დათმობის მინიჭების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოუღებლობის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა და გაუფასურების სხვა ინდიკატორები არ არსებობს. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც შესაძლოა გაიცეს, მაგრამ არ გაცემულა დათმობები, აქტივი გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ემპირიული მტკიცებულება, ამთ შორის დეფოლტის განმარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დეფოლტის განმარტება (იხილეთ ქვემოთ) მოიცავს ინდიკატორების და შემზღვევლების გადახდის შესაძლებლობის არარსებობას, თუ თანხა 90 დღეზე მეტი ვადით იქნება ვადაგადაცილებული.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები განსხვავებულად მუშავდება, რადგან აქტივი თავდაპირველი აღიარებისას არის გაუფასურებული. ამგვარი აქტივებისთვის ბანკი აღიარებს ყველა ცვლილებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში როგორც ზარალის რეზერვს, მოგებაში ან ზარალში აღიარებული ნებისმიერი ცვლილებით. ამგვარი აქტივების ხელსაყრელი ცვლილება წარმოქმნის გაუფასურების მოგებას. ბანკს არც შეუწყვიდა და არც გაუცია გაუფასურებული საკრედიტო ხარისხის მქონე ფინანსური აქტივები 2019 და 2020 წლებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგი სახით:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან დაქვითვის სახით;
- სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული სავალო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზარალის რეზერვი არ აღიარდება, რადგან საბალანსო ღირებულება საბალანსო ღირებულებას არის გატოლებული.
- სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისთვის: ანარიცხის სახით; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი მოიცავს გამოყენებულ და გამოუყენებელ კომპონენტს, ბანკს არ შეუძლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა სასესხო ვალდებულების კომპონენტზე, გამოყენებული კომპონენტებისგან განცალკევებით: ბანკი კომბინირებული ზარალის რეზერვს ორივე კომპონენტისთვის აღრიცხავს. კომბინირებული თანხა აღირიცხება გამოყენებული კომპონენტის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან დაქვითვის სახით. გამოყენებული კომპონენტის მთლიან თანხაზე ზარალის რეზერვის ნებისმიერი ზედმეტობა ანარიცხის სახით აღირიცხება.

დეფოლტის განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დეფოლტის განმარტებას. დეფოლტის განმარტება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში და იმის განსაზღვრებაში ზარალის რეზერვი 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს წარმოადგენს თუ არსებობს მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი დეფოლტის ალბათობის (PD) კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც მოქმედებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზეც.

ბანკი შემდეგ შემთხვევებს მიიჩნევს დეფოლტის შემთხვევად:

- ხელშეკრულება 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული; ან
- ხელშეკრულებაში ასახული საკრედიტო ვალდებულებები შესაძლოა სრულად ვერ ამოიღოს ბანკმა.

დეფოლტის განმარტება განისაზღვრება სხვადასხვა ტიპის აქტივების განსხვავებული მახასიათებლების ასახვისთვის. იმის შეფასებისას, მსესხებელი შესძლებს თუ არა მისი საკრედიტო ვალდებულების დაფარვას, ბანკი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებს. ისეთი რაოდენობრივი ინდიკატორები, როგორც არის ვადაგადაცილების სტატუსი და იმავე კონტრაქტის სხვა ვალდებულების არ დაფარვა, ამ ანალიზის მნიშვნელოვანი შემავალი ინფორმაციაა. ბანკი იყენებს ინფორმაციის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

სხვადასხვა წყაროს დეფოლტის შესაფასებლად, რომლებიც კომპანიის შიგნით შემუშავდება ან გარე წყაროებიდან მიიღება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყის ეტაპზე დაფიქსირებული დეფოლტის რისკი ფინანსურ ინსტრუმენტზე, ბანკი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისობაშია და ხელმისაწვდომია დამატებითი მნიშვნელოვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე - თვისებრივ ინფორმაციას და ანალიზს, ბანკის გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, ასევე საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე. შეფასების მიზანია იმის გამოვლენა, აქვს თუ არა ადგილი საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდას, შემდეგი ელემენტების შედარებით:

- ანგარიშგების თარიღისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა; და
- დროის კონკრეტულ მომენტისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეფასდა ვალდებულების თავდაპირველი აღიარების დროს (საჭიროების შემთხვევაში კორექტირებული ავანსთან დაკავშირებული მოლოდინების ცვლილების შესაბამისად).

იმის განსაზღვრად, ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში, ბანკი სამ კრიტერიუმს იყენებს:

- რაოდენობრივ ტესტს, დეფოლტის ალბათობაში მოძრაობის საფუძველზე;
- რესტრუქტურიზებული სტატუსი; და
- შეფერხება 30-დღიანი ვადაგადაცილებით.

„რესტრუქტურიზაციას“ ადგილი აქვს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვადების გახანგრძლივებისას, რაც წარმოიქმნება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით, როდესაც მისი მდგომარეობა განსხვავდება სესხის გაცემის მომენტში არსებული მდგომარეობისგან და მსესხებელმა მოითხოვა სესხის დაფარვის გრაფიკის ცვლილება. რესტრუქტურიზაცია წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკის შესაბამისი განყოფილება გონივრულ ფარგლებში დარწმუნდება, რომ მსესხებელს შესწევს უნარი გაუმკლავდეს გადახდის განახლებულ გრაფიკს.

სხვადასხვა ეკონომიკური სცენარი თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომი ანგარიშგების თარიღებში დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნიან. სხვადასხვა ეკონომიკური სცენარი გამოიწვევს დეფოლტის განსხვავებულ შესაძლებლობას. ამ სხვადასხვა სცენარის შეწონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ბანკი მიიჩნევს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, როდესაც არსებობს მანძილზე დეფოლტის ალბათობა საანგარიშგებო თარიღში 50%-ით გაიზრდება, საანგარიშგებო თარიღში მოსალოდნელი არსებობს მანძილზე დეფოლტის ალბათობასთან შედარებით, როდესაც პირველად აღიარდა დავალიანება. კოვიდ-19-ის სასესხო მორატორიუმით მეტად კონსერვატიული მიდგომა იყო გამოყენებული - 50% ტესტი არ იყო დაცული და 1-ლი ეტაპის ყველა სესხი, რომლებზეც გავრცელდა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საშეღავათო პერიოდი, მე-2 ეტაპზე გადავიდა. სესხები, რომლებმაც მიიღეს სამი გადახდის შეღავათი და ფუნქციონირებენ მაღალ-რისკიან სექტორში (საქართველოს ეროვნული ბანკის კლასიფიკაციის შესაბამისად), მე-3 ეტაპს განეკუთვნებიან.

საპროგნოზო ინფორმაცია მოიცავს საქართველოს ეკონომიკის მომავალ პერსპექტივებს, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, სამთავრობო უწყებების, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და მსგავსი ორგანიზაციების ანალიზებს, ასევე ფაქტიური და საპროგნოზო ეკონომიკური ინფორმაციის სხვადასხვა შიდა და გარე წყაროებს ეყრდნობა.

VII. ფინანსური აქტივების ცვლილება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის ცვლილება ხდება ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მმართველი სახელშეკრულებო პირობების გადახედვის ან სხვაგვარად ცვლილების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის თავდაპირველ აღიარებასა და დაფარვის ვადას შორის პერიოდში. ცვლილება მოქმედებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თანხაზე და/ან ვადებზე მიმდინარე მომენტში ან მომავალ თარიღში. ბანკი იყენებს კრიტერიუმებს, რომლებიც ეფუძნება 10%-იან სხვაობას მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებასა და ამორტიზებულ ღირებულებას შორის, იმის გამოსავლენად, ეფექტი მიმდინარე მომენტში აღიარდება, თუ მომავალ თარიღში.

ბანკი ფინანსური სირთულეების მქონე მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს განმეორებით ათანხმებს, სესხის დაბრუნების მაქსიმალურად გაზრდის და დეფოლტის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. სესხის პირობების ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ყველა გონივრულ მცდელობას განახორციელებს საწყისი სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე გადახდის შესასრულებლად, არსებობს დეფოლტის წარმოშობის მაღალი რისკი ან დეფოლტი უკვე წარმოიშვა და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შესძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას. უმეტეს შემთხვევაში შეცვლილი პირობები მოიცავს სესხის ვადის გახანგრძლივებას, სესხის ფულადი ნაკადების (ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა) ვადების ცვლას, ვადადამდგარი ფულადი ნაკადების თანხის (ძირითადი თანხის და პროცენტის პატიება) შემცირება და სხვა პირობების ცვლილება. ფინანსური აქტივის ცვლილებისას, ბანკი აფასებს ხომ არ უნდა მოხდეს ამგვარი მოდიფიცირებული შედეგების აღიარების შეწყვეტა. ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ცვლილება იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც ის წარმოქმნის არსებითად განსხვავებულ პირობებს. იმის განსასაზღვრად, მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობებისგან, ბანკი ითვალისწინებს შემდეგს:

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

- ტარდება რაოდენობრივი შეფასება, რათა მოხდეს თავდაპირველი პირობების ფარგლებში დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან შეცვლილი პირობების ქვეშ, როდესაც ორივე თანხა დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ მიმდინარე ღირებულებაში სხვაობა 10%-ზე მეტია, ბანკი მიიჩნევს, რომ გარიგება არსებითად განსხვავებულია და იწვევს აღიარების შეწყვეტას.

თუ პირობები არსებითად განსხვავებულია, ბანკი წყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას, „ახალ“ აქტივს სამართლიანი ღირებულებით აღიარებს და გადაიანგარიშებს აქტივზე ახალ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. ხელახალი მოლაპარაკების თარიღი შემდგომში მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად გაუფასურების დაანგარიშების მიზნებისთვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი აქვს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

თუ პირობები არსებითად განსხვავებულია, პირობების განმეორებით შეთანხმება ან მოდიფიცირება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას და ბანკი განმეორებით გადაიანგარიშებს მთლიან საბალანსო ღირებულებას ფინანსური აქტივის შეცვლილი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ხოლო მოდიფიცირებით მიღებულ მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ახალი მთლიანი საბალანსო ღირებულება გადაიანგარიშდება მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე (ან კორექტირებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივისთვის).

ბანკი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო უფლებებს აქტივის ფულად ნაკადებზე ვადა გაუვა (მათ შორის ვადის გასვლა მოხდება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირებიდან), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი სხვა საწარმოს გადაეცემა. თუ ბანკი არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, ბანკი აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ ბანკი ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ბანკი აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას.

VIII. ჩამოწერები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, როდესაც ბანკს არ ექნება გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგება. ამ დროს ბანკი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს აღსრულების საქმიანობები, ფინანსური აქტივების ჩამოსაწერად. ბანკის მიერ გატარებული აღსრულების ღონისძიებებით ამოღებული თანხები გაუფასურების მოგებას გამოიწვევს.

IX. ფინანსური გარანტიები და სასესხო ვალდებულებები

ფინანსური გარანტია არის ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ბანკს ავალდებულებს გარკვეული შენატანების განხორციელებას, რომ აუნაზღაუროს გარანტიის მფლობელს ზარალი, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო. სასესხო ვალდებულებები ადრე მითითებული პირობების ფარგლებში კრედიტის შეთავაზების უცვლელი ვალდებულებებია.

გაუფასურების რეზერვში შესულია ფინანსური გარანტიებიდან და სასესხო ვალდებულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, შეუზღუდავ ნაშთებს საკორესპონდენტო და ვადიან ანაზღაურებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ), რომელთა თავდაპირველი ვადა მაქსიმუმ 90 დღეა და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან.

სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ბანკის სავალდებულო ფულადი ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის.

ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვის გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, და ბანკს აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში ასევე მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ სადეპოზიტო სერტიფიკატს. ისინი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნარჩენი პირდაპირი საოპერაციო ხარჯების ჩათვლით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

თუ ბანკს მოუხდება სავალო ფასიანი ქაღალდებში ინვესტიციების უმნიშვნელო რაოდენობაზე მეტის გაყიდვა ან რეკლასიფიცირება მათი დაფარვის ვადამდე (გარდა გარკვეული სპეციფიკური გარემოებებისა), მთლიანი კატეგორია შეილახება და საჭირო გახდება რეკლასიფიცირება „გასაყიდად გამიზნულის“ კატეგორიაში. ამასთან, ბანკს აეკრძალება დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივის კლასიფიცირება მიმდინარე ფინანსური წლისა და მომდევნო ორი ფინანსური წლის განმავლობაში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, სესხები და სხვა დებიტორული დავალიანებები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდები, და რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე (მათ შორის მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხების და სხვა ფინანსური აქტივების ჩათვლით), შედის „სესხებისა და დებიტორული დავალიანებების“ კატეგორიაში. სესხებისა და დებიტორული დავალიანების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებისა, რადგან ასეთ დროს პროცენტის აღიარება არაარსებითი იქნებოდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივების, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული აქტივებისა, ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

„გასაყიდად გამიზნულის“ კატეგორიაში მოხვედრილი კოტირებული და არაკოტირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად ითვლება ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლება.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიები, მაგალითად სესხები და დებიტორული დავალიანებები, ასევე აქტივები, რომელთა ინდივიდუალური გაუფასურებაც შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. სესხებისა და დებიტორული დავალიანების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება ასევე იყოს წარსულში ბანკის მიერ დავალიანების ამოღების გამოცდილება, პორტფელში დაგვიანებული გადახდების რაოდენობის ზრდა, ასევე ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში მომხდარი დაკვირვებადი ცვლილებები, რომლებიც კორელაციაშია დებიტორული დავალიანების გადაუხდელობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სესხები და დებიტორული დავალიანება, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სესხი ან დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემობას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

რესტრუქტურისებული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურისაზღვრებას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას. პირობების გადასინჯვის შემდეგ ნებისმიერ გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, პირობების გადასინჯვამდე გაანგარიშების ანალოგიურად, და სესხი აღარ ჩაითვლება ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

რესტრუქტურისებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ჩამოწერილი სესხები და ავანსები

სესხები და ავანსები ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის დანაკარგებიდან, როდესაც უიმედოდ ჩაითვლება. სესხები და ავანსები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ამოწურავს ბანკის მიმართ არსებული დავალიანების ამოღების ყველა შესაძლებლობას და ასევე მას შემდეგ, რაც ბანკი გაყიდის ყველა ხელმისაწვდომ უზრუნველყოფის საგანს. ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღდგენის პერიოდში ფინანსური აქტივების გაუფასურების დანარიცხიდან გაქვითვის სახით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ ბანკი არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, ბანკი აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ ბანკი ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ბანკი აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას და დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ მოგებას ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

e. ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი

გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო გარიგების არსის შესაბამისად.

I. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივის მისაწოდებლად ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გასაცვლელად სხვა საწარმოსთან ისეთ პირობებში, რომლებიც არსებითად არახელსაყრელია ბანკისთვის ან ხელშეკრულებით, რომელიც

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით ან არის არაწარმოებული ხელშეკრულება, რომლისთვისაც ბანკი ვალდებულია ან შესაძლოა ვალდებული იყოს წარმოადგინოს მისი ცვლადი რაოდენობის წილობრივი ინსტრუმენტები ან განსხვავებული ხელშეკრულება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ფიქსირებული რაოდენობის ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) გაცვლის გარეშე ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობისთვის.

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, მისი ვადის ცვლილებისას, ან როდესაც შეცვლილი ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება. ასეთ შემთხვევაში, შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით აღიარდება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში. გადახდილი საზღაური მოიცავს გადაცემულ არაფინანსურ აქტივებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ვალდებულებებთან დაკავშირებულ დაშვებას, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით.

თუ ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება არ არის აღრიცხული აღიარების შეწყვეტის გამო, ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება გადაანგარიშდება მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებით, თავდაპირველი საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ცვალებადგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებებისთვის, მოდიფიცირებით გამოწვეული შემოსულობისა და ზარალის დასაანგარიშებლად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იცვლება მოდიფიცირების დროს მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით. ნებისმიერი გაწეული დანახარჯები ან გასამრჯელოები აღიარდება, როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და მასზე ირიცხება ცვეთა მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე, ინსტრუმენტზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადაანგარიშების გზით.

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, მისი ვადის ცვლილებისას, ან როდესაც შეცვლილი ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება. ასეთ შემთხვევაში, შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით აღიარდება. დაფარული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება მოხდა მოგებასა და ზარალში.

გადახდილი საზღაური მოიცავდა გადაცემულ არაფინანსურ აქტივებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ვალდებულებებთან დაკავშირებულ დაშვებას, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით. თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ აღირიცხებოდა აღიარების შეწყვეტისთვის, მაშინ ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გასამრჯელო აღიარდება, როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და მასზე ირიცხება ცვეთა მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე, ინსტრუმენტზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადაანგარიშების გზით.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

II. ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, მომხმარებელთა ანაზრები და სუბორდინირებული სესხი

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, მომხმარებელთა ანაზრებს და სუბორდინირებულ სესხს, რომლებიც ბანკის სასესხო დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნამატი პირდაპირი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

III. წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

f. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ფორვარდი არის სახელშეკრულებო შეთანხმება ორ მხარეს შორის, რომელთა შორისაც უნდა მოხდეს გარკვეული დროის განმავლობაში ფინანსური სახსრების გადახდები კონკრეტული პირობითი ოდენობით, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის კონკრეტულ საბაზისო ინდექსში მოძრაობასთან მიმართებით.

სავალუტო ფორვარდებში ბანკი იხდის კონკრეტულ თანხას ერთ ვალუტაში და იღებს კონკრეტულ თანხას მეორეში. სავალუტო ფორვარდები გაიქვითება ნეტო საფუძველზე.

გ. იჯარა

ბანკი აფასებს ხელშეკრულება არის ან მოიცავს თუ არა იჯარას, ხელშეკრულების ამოქმედების თარიღში. ბანკი აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო გარიგებასთან მიმართებაში, რომელშიც ის მოიჯარის როლში გამოდის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა (12 თვის ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებისა (როგორც არის ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ერთეულები და ტელეფონები). ამ იჯარებისთვის ბანკი აღიარებს საიჯარო გადასახდელებს საოპერაციო ხარჯად, ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადაზე, სანამ სხვა სქემა უფრო ზუსტად არ ასახავს საიჯარო აქტივებიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის დაწყების თარიღში გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი რთულად განსასაზღვრია, ბანკი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულება ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში ფასდება საბალანსო ღირებულების ზრდის სახით, რათა მოხდეს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვა (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით) და საბალანსო ღირებულების შემცირებით, განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. ბანკი განმეორებით აფასებს საიჯარო ვალდებულებას (და აკეთებს გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის შესაბამის კორექტირებას) როდესაც:

- იჯარის ვადა იცვლება ან არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ვითარების ცვლილება, რომელიც იწვევს ცვლილებას არსებული შესყიდვის უფლებით სარგებლობის შეფასებაში, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება განმეორებით ფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირების გზით, შეცვლილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.
- საიჯარო გადასახდელები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ან გარანტირებული ნარჩენი ღირებულების ფარგლებში მოსალოდნელი გადახდის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, უცვლელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (თუ საიჯარო გადახდები იცვლება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც გამოიყენება შეცვლილი დისკონტირების განაკვეთი).
- საიჯარო ხელშეკრულება იცვლება და საიჯარო მოდიფიკაცია არ აღირიცხება ცალკე იჯარად, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი იჯარის საიჯარო ვადის საფუძველზე, შეცვლილი საიჯარო გადასახდელების დისკონტირებით, ცვლილების თარიღში შეცვლილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები წარმოადგენს შესაბამისი საიჯარო გადასახდელების თავდაპირველ შეფასებას, დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებულ საიჯარო გადასახდელებს, ნებისმიერი მიღებული საიჯარო შეღავათის და თავდაპირველი პირდაპირი ხარჯის გამოკლებით. ისინი შემდეგ ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. როდესაც ბანკს წარმოექმნება საიჯარო აქტივის დემონტაჟის და მოხსნის, ასევე მათი განთავსების ადგილის აღდგენის ან საბაზისო აქტივის იჯარის პირობებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის ვალდებულება, ბასს (IAS) 37-ის საფუძველზე აღიარდება და შეფასდება შესაბამისი ანარიცხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს უკავშირდება, ხარჯები შევა გამოყენების უფლებით გადაცემულ შესაბამის აქტივში, თუ ამგვარი ხარჯების გაწევა არ მოხდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწარმოებლად.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და საბაზისო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე. თუ იჯარა გადასცემს საბაზისო აქტივის საკუთრების უფლებას ან გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის თვითღირებულება ასახავს, რომ ბანკი მოელის შესყიდვის უფლებით სარგებლობას, შესაბამის გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივზე ირიცხება ცვეთა საბაზისო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია იწყება იჯარის დაწყების თარიღში.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე ხაზის სახით არის წარმოდგენილი.

იმის განსასაზღვრად, გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი გაუფასურებულია თუ არა, ბანკი ბასს 36-ს იყენებს და აღრიცხავს ნებისმიერ გამოვლენილ გაუფასურების ზარალს, „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი ფორმით.

პრაქტიკული მიდგომის სახით, ფასს 16 მოიჯარეს საშუალებას აძლევს ცალკე არ გამოჰყოს არა საიჯარო კომპონენტები და ამის ნაცვლად აღრიცხოს ნებისმიერი იჯარა და დაკავშირებული არა საიჯარო კომპონენტები, განცალკევებული გარიგების სახით. ბანკმა ისარგებლა ამ პრაქტიკული მიდგომით.

ბანკი არ არის წარმოდგენილი მეიჯარის სახით 31 დეკემბრით დასრულებული 2020 და 2019 წლების განმავლობაში.

h. დასაკუთრებული აქტივები

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აუქციონის შედეგად მიღებული ღირებულებით ფასდება, რომელიც ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მომენტში საბაზრო ღირებულებას. შემდგომში დასაკუთრებული აქტივები ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

i. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას და განკუთვნილია აქტივების ჩამოსაწერად სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	30
ავეჯი და მოწყობილობები	5-7

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	3-6
სატრანსპორტო საშუალებები	5
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	1-9
სხვა	2-5

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი იჯარით აღებული აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაზე. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება მათი გაწევისას და მათი ჩართვა ხდება საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო თანხების გადახედვა ხდება ანგარიშგების ყოველ თარიღში, რათა შეფასდეს ხომ არ აღირიცხა ისინი მათი ანაზღაურებად თანხაზე გადამეტებული ოდენობით. აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივები ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე; გაუფასურება აღიარდება შესაბამის პერიოდში და შედის საოპერაციო დანახარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ხარჯი იცვლება მომავალ პერიოდებში, რათა მოხდეს აქტივების შეცვლილი საბალანსო ღირებულების გადანაწილება, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სისტემატიურად მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ქ. არამატერიალური აქტივები

ინდივიდუალურად შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების დასრულებული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი ამორტიზაცია აღიარდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ინდივიდუალურად შეძენილი არამატერიალური აქტივები, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს მათი შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ბანკი გადახედავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა, ბანკი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი აღრიცხება, როგორც ღირებულების გადაფასებით მიღებული შემცირება.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი აღდგენითი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდა იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალის შებრუნება აღრიცხება, როგორც ღირებულების გადაფასებით მიღებული ზრდა.

k. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებასა და გადავადებულ გადასახადს.

i. მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არასდროს იბეგრება ან იქვითება. ბანკის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება დაანგარიშდება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

ii. გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გასაანგარიშებლად გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის დროებით სხვაობებზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება, როგორც წესი, ხდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება, ზოგადად, ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გაიქვითება ეს გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასეთი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობები წარმოიქმნება გარიგებაში აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებიდან, რაც გავლენას არ ახდენს არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს ვალდებულების გასტუმრების ამ აქტივის რეალიზაციის პერიოდში, იმ საგადასახადო კანონმდებლობების და განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებენ ან ფაქტობრივად ძალაშია შესული ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებსაც განაპირობებს ის, თუ ანგარიშგების პერიოდის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ბოლოსთვის რამდენად მოელის ბანკი თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას ან გასტუმრებას.

iii. წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადი

მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი უკავშირდება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღიარებაც ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელსაც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განმარტავს, როგორც მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს გაწეულ ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი თავდაპირველად ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონის ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრამდე გაახანგრძლივა. 2023 წლის 1 იანვრიდან ფინანსური ინსტიტუტები არ შეინარჩუნებენ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს ან ვალდებულებებს, იმ ფაქტის გამო, რომ საშემოსავლო გადასახადი დაირიცხება დივიდენდების გამოცხადებისას.

iv. საოპერაციო გადასახადები

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შედის მოგება-ზარალის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

b. ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არასახელშეკრულებო) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ბანკს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (როდესაც ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

c. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

d. უცხოური ვალუტები

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ამ საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, არ გადაიყვანება.

ფულადი მუხლების საკურსო სხვაობების აღიარება ხდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის ეს სხვაობები დაფიქსირდა.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

წლის დასასრულის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკმა შემდეგი სავალუტო კურსები გამოიყენა:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი /1 ევრო	4.0233	3.2095

o. უზრუნველყოფის საგანი

კლიენტის ვალდებულებასთან მიმართებაში ბანკი ისეთ უზრუნველყოფის საგანს იღებს, რომელსაც ის შესაბამისად მიიჩნევს. უზრუნველყოფის საგანი, ჩვეულებრივ, იღებს კლიენტის აქტივებზე გირაოს ფორმას და ბანკს ანიჭებს ამგვარი აქტივების მოთხოვნის უფლებას კლიენტის არსებულ და მომავალ ვალდებულებებთან მიმართებაში.

p. სააქციო კაპიტალი

შენატანი სააქციო კაპიტალში თვითღირებულებით აღიარდება. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, დაიქვითება კაპიტალიდან, მოგების გადასახადის გამოკლებით.

5. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და საბაზისო მოსაზრებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ განსჯის შედეგად გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება, გარდა იმ მოსაზრებების, რომელიც შეფასებებს ეყრდნობა (იხ. ქვემოთ) და რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები. ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი დაშვებები მომავლის შესახებ, ასევე შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი კორექტირებები გამოიწვიოს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის წარმოადგენს სფეროს, რომელიც მოითხოვს მომავალი ეკონომიკური პირობებისა და საკრედიტო ქცევის შესახებ კომპლექსური მოდელების და მნიშვნელოვანი დაშვებების გამოყენებას (მაგ. მომხმარებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა და შედეგად მიღებული ზარალი).

ასევე საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი მსჯელობის გამოყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის სააღრიცხვო მოთხოვნების გამოყენებისას, როგორც არის:

- საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის განსაზღვრის კრიტერიუმები;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად შესაბამისი მოდელებისა და დაშვებების შერჩევა;
- პროგრესული სცენარების რაოდენობის და ფარდობითი წონის განსაზღვრა პროდუქტის/ზაზრის და დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თითოეული ტიპისთვის; და
- მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფების დადგენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 32-ე შენიშვნა.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	9,330,057	10,200,900
საკორესპონდენტო ანგარიშები ბანკებში	22,757,195	1,761,656
საკორესპონდენტო ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში	12,280,612	22,110,124
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(72)	(6,479)
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	44,367,792	34,066,201

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს ვადაგადაცილების გარეშე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასდა კონტრაქტის რეიტინგის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებმა განსაზღვრეს.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი) და BB- (გრძელვადიანი) რეიტინგი.

7. სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო ფულადი ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ), წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხებს. რეზიდენტ ფინანსურ დაწესებულებებს მოეთხოვებათ სებ-ში საპროცენტო სარგებლის მქონე სავალდებულო რეზერვის შენარჩუნება, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ფინანსური დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. სავალდებულო ნაშთები სებ-ში პროცენტის ფინანსური აქტივებია.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	8,170,262	10,120,021
სულ სავალდებულო რეზერვები სებ-ში	8,170,262	10,120,021

სავალდებულო ნაშთები სებ-ში წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს ვადაგადაცილების გარეშე 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოს ქვეყნის რეიტინგია BB. პროგნოზმა იკლო სტაბილურიდან ნეგატიურზე.

8. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
კლიენტებზე გაცემული სესხები	213,696,653	220,905,387
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(19,210,293)	(19,487,180)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	194,486,360	201,418,207

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის დინამიკა წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
--	---------------------------	---------------------------

ანალიზი სექტორების მიხედვით:

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

სოფლის მეურნეობა	88,676,687	92,434,175
მომსახურება	48,648,978	52,031,994
ვაჭრობა	47,177,038	55,053,474
სამომხმარებლო	14,278,632	7,828,914
წარმოება	12,693,040	11,246,941
სხვა	2,222,278	2,309,889
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(19,210,293)	(19,487,180)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	194,486,360	201,418,207

ქვემოთ ცხრილში თავმოყრილია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებები, და გაანალიზებულია ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბერს:

	სოფლის მეურნეობა		სამომხმარებლო		წარმოება	სხვა	სულ
	მომსახურება	ვაჭრობა	წარმოება	სხვა			
უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილი სესხები	8,968,390	13,302,895	11,167,997	689,162	3,719,861	379,243	38,227,548
ფიზიკური პირების თავდებობებით უზრუნველყოფილი სესხები	41,735,030	19,120,070	20,811,031	1,222,459	4,465,602	389,715	87,743,907
ანაბრებით უზრუნველყოფილი სესხები	-	174,465	50,180	-	111,442	801,853	1,137,940
სხვა უზრუნველყოფა	60	420,169	41,132	10,735,474	12,873	-	11,209,708
არაუზრუნველყოფილი სესხები	37,973,207	15,631,379	15,106,698	1,631,537	4,383,262	651,467	75,377,550
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(9,141,155)	(4,173,570)	(4,195,971)	(441,416)	(1,067,881)	(190,300)	(19,210,293)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	79,535,532	44,475,408	42,981,067	13,837,216	11,625,159	2,031,978	194,486,360

ქვემოთ ცხრილში თავმოყრილია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებები, და გაანალიზებულია ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბერს:

	სოფლის მეურნეობა		სამომხმარებლო		წარმოება	სხვა	სულ
	მომსახურება	ვაჭრობა	წარმოება	სხვა			

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილი სესხები	7,309,933	12,883,056	12,414,953	732,696	3,632,926	334,779	37,308,343
ფიზიკური პირების თავდებობებით უზრუნველყოფილი სესხები	53,938,436	25,445,077	29,396,868	1,483,609	5,139,697	477,271	115,880,958
ანაბრებით უზრუნველყოფილი სესხები	-	209,431	119,707	-	66,082	777,158	1,172,378
სხვა უზრუნველყოფა	21,946	305,142	21,927	4,214,972	-	-	4,563,987
არაუზრუნველყოფილი სესხები	31,163,860	13,189,288	13,100,019	1,397,637	2,408,236	720,681	61,979,721
გამოკლებული:							
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(9,132,570)	(3,822,151)	(4,584,783)	(256,518)	(1,306,151)	(385,007)	(19,487,180)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	83,301,605	48,209,843	50,468,691	7,572,396	9,940,790	1,924,882	201,418,207

2019 წლიდან ბანკი გასცემს ავტო-სესხებს. ამ სესხების ფარგლებში ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის საგანი შესულია სხვა უზრუნველყოფის საგნის კატეგორიაში, ზემოთ მოცემულ ცხრილში. 2020 წელს ბანკმა გაზარდა ავტო-სესხების პორტფელი, რასაც მოჰყვა სხვა უზრუნველყოფის ნაშთების ზრდა.

კლიენტებზე გაცემული სესხები შემდეგი პროდუქტებისგან შედგებოდა:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ინდივიდუალური ექსპრეს-სესხი	102,259,533	112,006,695
ინდივიდუალური სასოფლო-სამეურნეო სესხი	90,458,899	91,800,857
სამომხმარებლო სესხების პროდუქტი	13,754,051	7,233,716
მცირე და საშუალო საწარმოების სესხი	4,763,452	7,463,212
დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები	1,137,940	1,172,378
აგრო განვადება	798,197	633,331
თანამშრომლის სახელფასო სესხი	524,581	595,198
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(19,210,293)	(19,487,180)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	194,486,360	201,418,207

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომხმარებლებზე გაცემული ყველა სესხი გაცემულია ფიზიკურ პირებზე და საქართველოში ფუნქციონირებად კომპანიებზე.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავდა 79,406,596 ლარის (საიდანაც სესხებმა, რომლებზეც გავრცელდა კოვიდ-19-ის საშეღავათო პერიოდი შეადგენდა 56,477,706 ლარს) და 19,428,356 ლარის ოდენობით

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

სესხებს, შესაბამისად, რომელთა ვადები განმეორებით შეთანხმდა. სხვა შემთხვევაში მოხდებოდა აღნიშნული სესხების ვადაგადაცილება და დარეზერვება სესხის ვადის ბოლომდე მოსალოდნელი ზარალის მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განმეორებით შეთანხმებული სესხებისთვის 9,505,433 ლარს და 5,981,396 ლარს შეადგენდა. განმეორებით შეთანხმებულ სესხებზე აღრიცხული მოდიფიცირებით გამოწვეული ზარალი 1,808,699 და 423,295 ლარს უტოლდება 2020 და 2019 წლებისთვის, შესაბამისად.

2020 წლისა და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული სესხები, რომლებიც დაგირავებული იყო უზრუნველყოფის სახით, საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხების რეფინანსირების ფარგლებში, შეადგენდა 7,246,000 და ნულ ლარს, შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	სოფლის მეურნეობა	მომსახურე ბა	სამომხმარებ ლო ვაჭრობა	სამომხმარებ ლო	წარმოება	სხვა	სულ
<i>სესხები,</i>							
<i>რომელთა</i>							
<i>გაუფასურებაც</i>							
<i>კოლექტიურად</i>							
<i>განისაზღვრა</i>							
- არა							
ვადაგადაცილე ბული	76,878,142	44,025,130	42,348,007	13,321,704	11,055,190	1,964,702	189,592,875
- 1-დან 30 დღემდე							
ვადაგადაცილე ბა	1,336,858	741,246	565,574	391,013	510,469	32,682	3,577,842
- 31-დან 60 დღემდე							
ვადაგადაცილე ბა	1,263,403	307,741	201,466	71,632	172,156	3,334	2,019,732
- 61-დან 90 დღემდე							
ვადაგადაცილე ბა	954,131	260,003	594,650	84,448	119,514	10,211	2,022,957
- 91-დან 180 დღემდე							
ვადაგადაცილე ბა	1,430,966	543,406	546,167	169,056	197,688	9,895	2,897,178
- 180 დღეზე მეტი							
ვადაგადაცილე ბა	6,813,187	2,771,452	2,921,174	240,779	638,023	201,454	13,586,069

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

სულ							
კლიენტებზე							
გაცემული							
სესხები							
მოსალოდნელი							
საკრედიტო							
ზარალის							
რეზერვის							
შექმნამდე	88,676,687	48,648,978	47,177,038	14,278,632	12,693,040	2,222,278	213,696,653
გამოკლებული:							
მოსალოდნელი							
საკრედიტო							
ზარალის							
რეზერვი	(9,141,155)	(4,173,570)	(4,195,971)	(441,416)	(1,067,881)	(190,300)	(19,210,293)
სულ							
კლიენტებზე							
გაცემული							
სესხები	79,535,532	44,475,408	42,981,067	13,837,216	11,625,159	2,031,978	194,486,360

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	სოფლის		სამომხმარებ				
	მეურნეობა	მომსახურება	ვაჭრობა	ლო	წარმოება	სხვა	სულ
სესხები, რომელთა							
გაუფასურებაც							
კოლექტიურად							
განისაზღვრა							
- არა							
ვადაგადაცილებულ	82,685,798	47,986,856	50,141,943	7,544,989	9,787,765	1,929,213	200,076,564
ო							
- 1-დან 30 დღემდე	1,072,742	625,430	556,483	41,130	236,728	19,077	2,551,590
ვადაგადაცილება							
- 31-დან 60 დღემდე	727,344	144,950	182,844	28,024	55,081	4,395	1,142,638
ვადაგადაცილება							
- 61-დან 90 დღემდე	510,155	84,823	161,463	14,853	38,668	7,515	817,477
ვადაგადაცილება							
- 91-დან 180 დღემდე	992,701	579,573	395,879	29,555	73,909	7,603	2,079,220
ვადაგადაცილება							
- 180 დღეზე მეტი	6,445,435	2,610,362	3,614,862	170,363	1,054,790	342,086	14,237,898
ვადაგადაცილება							
სულ კლიენტებზე							
გაცემული სესხები							
მოსალოდნელი	92,434,175	52,031,994	55,053,474	7,828,914	11,246,941	2,309,889	220,905,387
საკრედიტო							
ზარალის რეზერვის							
შექმნამდე							
გამოკლებული:							
მოსალოდნელი	(9,132,570)	(3,822,151)	(4,584,783)	(256,518)	(1,306,151)	(385,007)	(19,487,180)
საკრედიტო							
ზარალის რეზერვი							

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	83,301,605	48,209,843	50,468,691	7,572,396	9,940,790	1,924,882	201,418,207
------------------------------------	------------	------------	------------	-----------	-----------	-----------	-------------

კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც დაიფარა უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრებით 2020 და 2019 წლებში, იყო 219,300 და 98,340 ლარი, შესაბამისად.

9. ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში შედგება:

	2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
	საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	8.06%-9.18%	22,535,394	6.52%-9.16%	18,131,184
ფინანსთა სამინისტროს თამასუქები	9.88%	6,001,829	9.05%	701,483
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი		(11,094)		(11,956)
სულ ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში		28,526,129		18,820,711

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში არის ფინანსური აქტივები ვადაგადაცილების გარეშე 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ინვესტიცია სავალო ფასიან ქალაქებში ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასდა კონტრაქტის რეიტინგის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებმა განსაზღვრეს.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში 27,417,000 ლარისა და 15,030,900 ლარის (შესაბამისად) ოდენობით, დაგირავებული იყო უზრუნველყოფის სახით, საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხების რეფინანსირების ფარგლებში.

10. ფინანსური აქტივები/ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

	პირობითი თანხა	2020 წლის 31 დეკემბერი	პირობითი თანხა	2019 წლის 31 დეკემბერი
--	----------------	---------------------------	-------------------	---------------------------

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები:				
- სავალუტო ფორვარდის ხელშეკრულებები	12,594,584	511,816	19,364,927	708,973
სულ მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	12,594,584	511,816	19,364,927	708,973

ბანკი იყენებს ფორვარდულ ხელშეკრულებებს ერთპიროვნულად საბალანსო ღია სავალუტო პოზიციების ჰეჯირებისთვის. ფორვარდული ხელშეკრულებების სამართლიანი ღირებულება გაიქვითება საბალანსო ღია სავალუტო პოზიციის გადაფასებით, რაც არსებობის მანძილზე ფორვარდული ხელშეკრულებების გათვალისწინებით ითვალისწინებს ფიქსირებულ, წინასწარ ცნობილ ჰეჯირების ხარჯებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს არადისკონტირებულ სახელშეკრულებო თანხებს, რომლებიც დაუფარავია 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის დარჩენილი პერიოდებით. უცხოური ვალუტის თანხების გადაფასება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი ხდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. იმ ხელშეკრულებებზე მიღებული მოგება და ზარალი, რომელთა ვადაც არ იყო დასრულებული, აისახება მოგება-ზარალში და ფინანსურ ინსტრუმენტებში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, ვითარებიდან გამომდინარე.

	3 თვემდე	4-6 თვე	7-12 თვე	სულ
2020	-	1,638,300	11,468,100	13,106,400
2019	1,433,850	11,470,800	7,169,250	20,073,900

წლის განმავლობაში ბანკმა აღიარა წმინდა მოგება ფინანსური აქტივებიდან მოგებაში ან ზარალში, 1,273,514 ლარის ოდენობით (2019 წ.: 1,162,873 ლარი).

11. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებში შედის:

შენიშვნები და სხვა უძრავი ქონება	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	კომპიუტერული აღჭურვილობა	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
თვითღირებულებით						
2019 წლის 1 იანვარი						
1,445,962	2,516,568	5,073,528	1,758,233	180,977	1,068,880	12,044,148
შესყიდვები						
-	11,488	92,984	122,644	-	16,024	243,140
გასვლები						
-	(45,974)	(74,781)	(61,797)	(180,977)	(51,189)	(414,718)
2019 წლის 31 დეკემბერი						
1,445,962	2,482,082	5,091,731	1,819,080	-	1,033,715	11,872,570

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

შესყიდვები	-	47,592	280,171	11,752	-	67,896	407,411
გასვლები	-	(457,018)	(38,471)	(70,024)	-	(39,602)	(605,115)
2020 წლის 31 დეკემბერი	1,445,962	2,072,656	5,333,431	1,760,808	-	1,062,009	11,674,866
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება							
2019 წლის 1 იანვარი	(372,212)	(1,531,610)	(3,193,941)	(1,248,969)	(180,977)	(809,467)	(7,337,176)
ცვეთის ხარჯი	(39,244)	(308,109)	(482,593)	(91,002)	-	(104,911)	(1,025,859)
გასხვისებისას აღმოფხვრილი	-	22,954	70,275	61,285	180,977	51,189	386,680
2019 წლის 31 დეკემბერი	(411,456)	(1,816,765)	(3,606,259)	(1,278,686)	-	(863,189)	(7,976,355)
ცვეთის ხარჯი	(39,243)	(310,829)	(518,306)	(94,565)	-	(62,180)	(1,025,123)
გასხვისებისას აღმოფხვრილი	-	440,868	38,153	61,306	-	39,272	579,599
2020 წლის 31 დეკემბერი	(450,699)	(1,686,726)	(4,086,412)	(1,311,945)	-	(886,097)	(8,421,879)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	995,263	385,930	1,247,019	448,863	-	175,912	3,252,987
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,034,506	665,317	1,485,472	540,394	-	170,526	3,896,215

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალებების, გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯს.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არ ფლობდა დაქირავებულ ძირითად საშუალებებს.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ამორტიზებულმა აქტივებმა შესაბამისად შეადგინა 5,051,832 ლარი და 4,679,612 ლარი.

12. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები
თვითღირებულებით	
2019 წლის 1 იანვარი	5,308,401
შესყიდვები	937,735
2019 წლის 31 დეკემბერი	6,246,136
შესყიდვები	128,953
2020 წლის 31 დეკემბერი	6,375,089
აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურება	
2019 წლის 1 იანვარი	(3,673,146)
ამორტიზაციის დანარიცხი	(641,743)
2019 წლის 31 დეკემბერი	(4,314,889)
ამორტიზაციის დანარიცხი	(804,348)
2020 წლის 31 დეკემბერი	(5,119,237)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,255,852
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,931,247

13. სხვა აქტივები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური აქტივები		
დებიტორული დავალიანება	834,781	1,477,865
სხვა არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	474,545	327,374
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	301,297	215,586
საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა	202,120	110,184
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	24,191	7,588
თანამშრომლებზე გასაცემი ავანსები	2,479	5,965
წინასწარ გადახდილი იჯარა	-	66,532
სხვა არაფინანსური აქტივები	2,049	80,554
სხვა აქტივები, სულ	1,841,462	2,291,648

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

14. ბანკების დეპოზიტები

ბანკების დეპოზიტებში შედის:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მოკლევადიანი სესხები საქართველოს ეროვნული ბანკიდან	29,605,548	15,018,976
სულ ბანკების დეპოზიტები	29,605,548	15,018,976

მოკლევადიანი სესხები საქართველოს ეროვნული ბანკისგან მოიცავს ორი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებს: ერთკვირიანი რეფინანსირების სესხი სებ-სგან, რომელიც უზრუნველყოფილია სახაზინო ფასიანი ქაღალდებით და ერთთვიანი რეფინანსირების სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია მთლიანი სასესხო პორტფელით.

15. კლიენტების დეპოზიტები

კლიენტების დეპოზიტებში შედის:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	23,043	1,062
- შემნახველი ანაბრები	1,809,002	1,057,551
- ვადიანი ანაბრები	27,509,307	14,784,260
ფიზიკური პირები:		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	6,255,200	7,401,623
- შემნახველი ანაბრები	18,190,983	20,360,997
- ვადიანი ანაბრები	86,505,663	92,272,463
სხვა იურიდიული პირები		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	2,527,359	2,041,635
- შემნახველი ანაბრები	3,864,702	9,683,388
- ვადიანი ანაბრები	19,987,018	21,530,213
სულ კლიენტების დეპოზიტები	166,672,277	169,133,192

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების შეთავაზება გააკეთა ვადიან და შემნახველ ანაბრებზე:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	მინ.	მაქს.	მინ.	მაქს.
ლარი	5.00%	11.00%	3.50%	13.25%
აშშ დოლარი	0.25%	2.00%	1.00%	5.50%
ევრო	0.10%	0.60%	0.10%	3.50%

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

16. გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

	შენიშნა- ნაგებობები და ოფისები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება			
2019 წლის 1 იანვარი	7,706,896	121,821	7,828,717
იჯარების მოდიფიცირება	1,286,367	-	1,286,367
2020 წლის 31 დეკემბერი	8,994,263	121,821	9,116,084
შესყიდვები	1,096,416	-	1,096,416
ხელშეკრულების მოდიფიცირების ეფექტი	898,096	-	898,096
ხელშეკრულების შეწყვეტა	(738,462)	-	(738,462)
2020 წლის 31 დეკემბერი	10,250,313	121,821	10,372,134
დაგროვილი ცვეთა			
2019 წლის 1 იანვარი	-	-	-
პერიოდის ცვეთა	(3,043,703)	(4,061)	(3,047,764)
2020 წლის 31 დეკემბერი	(3,043,703)	(4,061)	(3,047,764)
პერიოდის ცვეთა	(2,442,444)	(24,364)	(2,466,808)
ხელშეკრულების შეწყვეტა	432,081	-	432,081
2020 წლის 31 დეკემბერი	(5,054,066)	(28,425)	(5,082,491)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერი	5,194,216	95,427	5,289,643
2019 წლის 31 დეკემბერი	5,948,529	119,791	6,068,320

მოდრაობა საიჯარო ვალდებულებებში 2020 და 2019 წლებში იყო შემდეგი:

	შენიშნა- ნაგებობები და ოფისები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საიჯარო ვალდებულება			
2019 წლის 1 იანვარი	7,706,897	121,820	7,828,717
ხელშეკრულების მოდიფიცირების ეფექტი	914,765	-	914,765
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	523,082	1,342	524,424
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(3,004,096)	(2,789)	(3,006,885)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	29,348	-	29,348
2020 წლის 31 დეკემბერი	6,169,996	120,373	6,290,369
შესყიდვები	1,096,416	-	1,096,416

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ხელშეკრულების მოდიფიცირების ეფექტი	898,096	-	898,096
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	455,936	15,064	471,000
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(2,792,663)	(33,480)	(2,826,143)
საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა	(405,533)	-	(405,533)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	452,560	-	452,560
საიჯარო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,874,808	101,957	5,976,765

საშუალო შეწონილი იჯარის ვადა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის 4,36 წელია, ხოლო მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებაში გამოიყენება 7,63%-ია.

მოგებაში და ზარალში აღიარებული თანხები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების ხარჯის ამორტიზაცია	(2,466,808)	(3,047,764)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(471,000)	(524,424)
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	(245,962)	(312,335)
დაბალი ღირებულების მქონე აქტივებთან დაკავშირებული ხარჯი	(358,076)	(114,041)
სულ	(3,541,846)	(3,998,564)

საიჯარო ვალდებულება	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური იჯარის ფარგლებში დასაფარი თანხები	ფინანსური იჯარის ფარგლებში დასაფარი თანხები	ფინანსური იჯარის ფარგლებში დასაფარი თანხები
ვადიანობის ანალიზი		
1-ლი წელი	2,566,162	2,308,066
მე-2 წელი	1,735,895	1,766,592
მე-3 წელი	1,060,342	1,289,688
მე-4 წელი	676,475	883,559
მე-5 წელი	385,398	605,124
მეტი	275,394	658,048
გამოკლებული: გამოუმუშავებელი პროცენტი	(722,901)	(1,220,708)
სულ საიჯარო ვალდებულება	5,976,765	6,290,369

17. ნასესხები სახსრები

ნასესხებ სახსრებში შედის:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
უცხოური ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები	18,215,004	24,020,550

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

სულ ნასესხები სახსრები	18,215,004	24,020,550
------------------------	------------	------------

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხებ სახსრებში შესული დარიცხული პროცენტი შეადგენდა 304,289 ლარს და 580,475 ლარს, შესაბამისად.

ბანკი ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები ზემოთ ჩამოთვლილი სესხებისთვის. ეს მოთხოვნები ეხება განსაზღვრულ კოეფიციენტებს, კერძოდ სესხების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტს და სხვადასხვა ფინანსურ კოეფიციენტებს.

ბანკის საერთო ფინანსური შედეგების გამო, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ის არღვევს ერთი კრედიტორის კოვენანტს. დარღვევა არ იწვევს ჯვარედინ დეფოლტს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან. ბასს 1-ზე („ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“) დაყრდნობით, ხელმძღვანელობამ შესაბამისი კრედიტორისგან ნასესხებ სახსრებს მიანიჭა მიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია. მიმდინარე კლასიფიცირებული და 1 თვემდე დაფარვის კატეგორიაში წარდგენილი ნასესხები სახსრების მთლიანი ღირებულება ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,711,300 ლარს შეადგენდა. სახელშეკრულებო ვადიანობის თანახმად, სესხის დაფარვის ვადაა 2021 წლის აპრილი და ის უკვე შესულია 3-დან 6 თვემდე კალათში ლიკვიდურობის შესახებ შენიშვნაში, შესაბამისად ის არ მოქმედებს ბანკის ლიკვიდურობის პოზიციაზე.

ნასესხები სახსრები	2020 წ.	2019 წ.
საწყისი ნაშთი	24,020,550	82,431,875
სესხის აღება	21,340,007	1,711,300
სესხის დაფარვა	(26,827,142)	(60,151,466)
პროცენტის გადახდა	(2,732,413)	(8,512,088)
ვალუტის გაცვლის ეფექტი	(142,018)	808,500
საპროცენტო ხარჯი	2,556,020	7,732,429
საბოლოო ნაშთი	18,215,004	24,020,550

18. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
ანგარიშსწორება სხვა ოპერაციებზე	484,478	395,097
პროფესიული მომსახურების საფასურის კრედიტორული დავალიანება	209,945	119,282
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	45,536	52,136
მარკეტინგული საქმიანობის კრედიტორული დავალიანება	8,371	-
„FINCA Microfinance Cooperative“-სთვის გადასახდელი ჰონორარი	-	94,781
სხვა კრედიტორული დავალიანებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	20,479	78,046

სხვა არაფინანსური ვალდებულებები

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

საგადასახადო კრედიტორული დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	127,270	125,454
მიღებული ავანსები	63,032	221,724
სხვა	124,548	117,527
სხვა ვალდებულებები, სულ	1,083,659	1,204,047

19. სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებულ ვალში შედის:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული ვალი ფინანსური ინსტიტუტებისგან	16,323,554	14,269,762
სულ სუბორდინირებული ვალი	16,323,554	14,269,762

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხი მოიცავდა აშშ დოლარში დენომინირებულ სესხს 16,323,554 ლარის და 14,269,762 ლარის ოდენობით. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნომინალური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7.02% და 8.89%, 4-წლიანი დარჩენილი დაფარვის ვადით.

სუბორდინირებული ვალი	31-დეკ-20	31-დეკ-19
საწყისი ნაშთი	14,269,762	20,044,670
სესხის დაფარვა	-	(6,451,300)
პროცენტის გადახდა	(1,260,844)	(1,974,743)
ვალუტის გაცვლის ეფექტი	2,102,089	1,145,210
საპროცენტო ხარჯი	1,212,547	1,505,925
საბოლოო ნაშთი	16,323,554	14,269,762

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდირების შემთხვევაში, ამ ვალის დაბრუნება სუბორდინირებულია სხვა კრედიტორების წინაშე ბანკის ვალდებულებების დაფარვის მიმართ.

20. საწესდებო კაპიტალი

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული და გამოშვებული საწესდებო კაპიტალი შესაბამისად შედგებოდა 2,914 და 2,914 ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთა (თითოეულის) ნომინალური ღირებულება 8,800 (რვა ათას რვაასი) ლარი იყო.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს დივიდენდები არ გამოუცხადებია.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2020 წ.	2019 წ.
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხების პროცენტი	50,561,607	54,459,905
სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციებზე დარიცხული პროცენტი	1,808,676	1,334,776
ბანკებისგან მისაღები ნაშთების პროცენტი	968,114	1,260,758
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო შემოსავალი:	53,338,397	57,055,439
სხვა საპროცენტო შემოსავალი:	1,919,090	3,384,331
სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით	55,257,487	60,439,770
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი		
პროცენტი კლიენტების ანაზრებზე	(15,869,900)	(12,978,410)
ნასესხები სახსრების პროცენტი	(2,556,020)	(7,732,429)
სუბორდინირებული ვალის პროცენტი	(1,212,547)	(1,505,925)
პროცენტი ბანკების ანაზრებზე	(863,411)	(722,395)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტი	(471,000)	(524,424)
სულ საპროცენტო ხარჯი	(20,972,878)	(23,463,583)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის განცდამდე პროცენტთან აქტივებზე	34,284,609	36,976,187

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკის მიერ მიღებულმა და გადახდილმა პროცენტმა შესაბამისად 40,893,924 ლარი და 22,403,671 ლარი შეადგინა, შესაბამისად (2019 წ.: 50,107,217 ლარი (დაკორექტირებული და გადაანგარიშებული ადრე აღიარებული 54,041,283 ლარი) და 39,808,621 ლარი (დაკორექტირებული და გადაანგარიშებული ადრე აღიარებული 22,464,437 ლარი), შესაბამისად).

22. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

მოდრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში პროცენტთან აქტივებზე 2020 წლისთვის იყო შემდეგი:

	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	ვაჭრობა	სამომხმარებლო სესხები	წარმოება	სხვა	სულ
2019 წლის 1 იანვარი	8,890,035	4,068,839	4,588,611	244,112	1,155,176	311,864	19,258,637
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	1,774,206	(683,996)	1,084,905	58,241	(176,565)	116,448	2,173,239

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

წმინდა საპროცენტო შემოსავლის კორექტირება მე-3 ეტაპის სესხებისთვის წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	(2,488,706)	(13,335)	(1,635,808)	(61,718)	-	(81,705)	(4,281,272)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	434,416	231,917	284,707	1,204	252,794	16,368	1,221,406
Forex მოგება	126,939	53,126	63,726	3,565	18,155	5,351	270,862
2020 წლის 1 იანვარი	9,132,570	3,822,151	4,584,783	256,518	1,306,151	385,007	19,487,180
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში წმინდა საპროცენტო შემოსავლის კორექტირება მე-3 ეტაპის სესხებისთვის წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	(3,093,179)	(1,619,815)	(2,081,818)	(80,626)	(614,476)	(233,152)	(7,723,066)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	537,374	282,300	375,534	3,950	124,990	11,211	1,335,359
Forex მოგება	104,968	47,924	48,182	5,069	12,262	2,185	220,590
2020 წლის 31 დეკემბერი	9,141,155	4,173,570	4,195,971	441,416	1,067,881	190,300	19,210,293

მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში სახაზინო ბანკნოტებზე და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

	2020 წ.	2019 წ.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სახაზინო ბანკნოტებზე 1 იანვარს	11,956	7,758
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	(862)	4,198
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სახაზინო ბანკნოტებზე 31 დეკემბერს	11,094	11,956
	2020 წ.	2019 წ.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე 1 იანვარს	6,479	-
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	(6,407)	6,479
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე 31 დეკემბერს	72	6,479

23. სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი

სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი მოიცავს შემდეგს:

	2020 წ.	2019 წ.
სადილერო ოპერაციები, წმინდა	427,734	(483,571)

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

საკურსო სხვაობები, წმინდა	(2,236,203)	(1,444,441)
სულ სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	(1,808,469)	(1,928,012)

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ფინკა ბანკი საქართველოს“ ღია სავალუტო პოზიცია 12,461,332 ლარის და 19,625,302 ლარის ოდენობით ჰეჯირებული იყო სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებებით, რომლიც მიხედვითაც რეალური სავალუტო პოზიცია მთელი წლის განმავლობაში იყო ნულთან ახლოს. ნეგატიური გადაანგარიშების სხვაობა მოიცავს მხოლოდ საბალანსო ღია სავალუტო პოზიციის გადაანგარიშებას.

24. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

	2020 წ.	2019 წ.
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო:		
შემოსავალი ანგარიშსწორების ოპერაციებიდან	1,125,171	1,193,180
კლიენტების მიმდინარე ანაზრები და შემნახველი ანგარიშების ტექნიკური მომსახურების საფასური და საკომისიო	590,455	695,689
სხვა საფასურის შემოსავალი	522,971	579,806
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო, სულ	2,238,597	2,468,675
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი:		
ანგარიშსწორების ოპერაციების ხარჯი	(48,797)	(48,003)
საფასურის სხვა ხარჯი	(4,842)	(2,478)
სულ გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი	(53,639)	(50,481)
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	2,184,958	2,418,194

25. პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები

პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს:

	2020 წ.	2019 წ.
ხელფასები და პრემიები	14,388,330	13,604,222
ჯანმრთელობის დაზღვევა	586,554	565,815
კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები	12,577	8,942
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	116,346	110,471
სულ პერსონალთან დაკავშირებული ხარჯი	15,103,807	14,289,450

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

26. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2020 წ.	2019 წ.
პროფესიული მომსახურება	3,154,418	3,083,009
ჰონორარის საფასური	1,374,379	1,561,389
კომუნალური მომსახურება	639,618	684,125
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალფასიან ერთეულებთან დაკავშირებული დანახარჯები	604,038	442,778
დანახარჯი რეკლამაზე	507,683	1,153,821
საკანცელარიო საქონელი	414,115	387,326
კომუნიკაციები	358,810	390,447
იურიდიული მომსახურება	316,926	417,764
ძირითადი საშუალებების ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	299,291	227,294
საწვავის ხარჯები	258,683	297,087
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	229,561	200,361
მართვის მომსახურების საფასური	218,415	168,537
საკასო ოპერაციების ხარჯი	201,697	225,534
ანაზრის დაზღვევის ხარჯი	185,413	185,341
სადაზღვევო ხარჯები	98,149	78,255
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	94,468	95,488
საწევრო შენატანი	80,914	61,680
საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხარჯი	51,562	61,359
წარმომადგენლობითი ხარჯები	36,616	177,054
სამივლინებო ხარჯები	35,842	191,599
ტრენინგი	9,898	23,835
კადრების შერჩევის ხარჯი	7,950	18,647
სხვა ხარჯები	230,611	271,836
სულ საოპერაციო ხარჯები	9,409,057	10,404,566

„FINCA Microfinance Cooperatief U.A. („FMC“)“ და სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ შორის 2011 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ინტელექტუალური ქონების სალიცენზიო შეთანხმების პირობების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბანკმა „FMC“-ის უნდა გადაუხადოს ჰონორარი ყველა მომავალ საპროცენტო შემოსავალზე. 2013 წლის 6 აგვისტოს ჰონორარის დაანგარიშების მეთოდი განისაზღვრა საოპერაციო შემოსავლების შემდეგი პროცენტების სახით: 0%, 1.5%, 2% და 3%, შესაბამისად, თუ საოპერაციო შემოსავალი 500,000 აშშ დოლარზე ნაკლები, 500,000 აშშ დოლარიდან 1,000,000 აშშ დოლარამდე, 1,000,000 აშშ დოლარიდან 2,500,000 აშშ დოლარამდე და 2,500,000 აშშ დოლარზე მეტი იქნება.

27. მოგების გადასახადი

ბანკი მოგების გადასახადის მიმდინარე დავალიანებას და მის საგადასახადო ბაზებს აფასებს და აღრიცხავს თავის აქტივებსა და ვალდებულებებში საქართველოს საგადასახადო ნორმების თანახმად, რომლებიც ფასს სტანდარტებისგან განსხვავდება. ბანკი ექვემდებარება გარკვეულ მუდმივ საგადასახადო სხვაობებს იმის გამო, რომ გარკვეული ხარჯები გადასახადის მიზნებისთვის არ იქვითება, ხოლო გარკვეული შემოსავლები დაუბეგრავად აღირიცხება. გადავადებული გადასახადები ასახავს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ღირებულებებსა და გადასახადის მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტს. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დროებითი სხვაობები ძირითადად უკავშირდება შემოსავლის და ხარჯის აღიარების სხვადასხვა მეთოდს და ვადას, ასევე დროებით სხვაობებს, რომლებსაც წარმოქმნის საგადასახადო და საბალანსო ბაზების განსხვავება გარკვეული აქტივების და ვალდებულებების შემთხვევაში. ქვემოთ, შეჯერებისთვის გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-იან კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დასაბეგრ მოგებაზე იხდიან იურიდიული პირები საქართველოში. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები/(ვალდებულებები) 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2020 წ.	2019 წ.
<i>გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები/(ვალდებულებები), რომლებიც უკავშირდება შემდეგს</i>		
კლიენტებზე გაცემული სესხები	(843,827)	(273,729)
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	1,105	1,793
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები	116,801	89,463
ნასესხები სახსრები	(38,421)	(35,506)
საიჯარო ვალდებულებები	103,068	33,307
საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდზე გადატანა	207,349	-
სხვა ვალდებულებები	1,985	4,578
წმინდა გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	(451,940)	(180,094)

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ეფექტური გადასახადის განაკვეთის შეჯერება ასე გამოიყურება:

	2020 წ.	2019 წ.
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	841,164	7,610,107
გადასახადი კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთის მიხედვით (15%)	126,175	1,141,517
მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი	145,671	(323,998)
მოგების გადასახადის ხარჯი	271,846	817,519
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი		417,991
გადავადებული საგადასახადო ხარჯი	271,846	399,528
მოგების გადასახადის ხარჯი	271,846	817,519

მოგების გადავადებული საგადასახადო (ვალდებულებები)/აქტივები

1 იანვრის მდგომარეობით - გადავადებული საგადასახადო (ვალდებულებები)/აქტივები	(180,094)	219,434
ცვლილება მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთებში	(271,846)	(399,528)

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

31 დეკემბრის მდგომარეობით – მოგების გადავადებული
საგადასახადო ვალდებულებები

(451,940)

(180,094)

28. პირობითი ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კლიენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ბანკი არის გარეგანსური რისკის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების მხარე. ეს ინსტრუმენტები, რომლებსაც სხვადასხვა დონის საკრედიტო რისკი ახასიათებთ, ასახული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გარეგანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში ბანკი იყენებს კრედიტების კონტროლისა და მართვის იმავე პოლიტიკას, როგორსაც მიმართავს ბალანსური ოპერაციების შემთხვევაში.

გარესაბალანსო ერთეულები, რომლებიც შედგება ოვერდრაფტების და საკრედიტო ლიმიტებისგან 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 4,166,265 ლარს და 4,313,410 ლარს. ბანკს არ აქვს ზარალის ანარიცხი პირობით ვალდებულებებზე 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კაპიტალური ვალდებულებები - 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებითი კაპიტალური ვალდებულებები არ არსებობდა.

სამართალწარმოება - ბანკის მენეჯმენტი სასამართლო დავებთან დაკავშირებით არსებითი დაურიცხავი ზარალის განცდას არ მოელის და, შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაუთვალისწინებია ანარიცხები.

გადასახადები - საგადასახადო კანონმდებლობა შესაძლოა იძლეოდეს ერთზე მეტი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ბანკს ჰყავს შესაბამისი თანამშრომელი, რომელიც მიმოიხილავს შესაბამისობას საგადასახადო მოთხოვნებთან. საგადასახადო უწყებების მხრიდან ახალი მიდგომის შემთხვევაში ან გაურკვეველ ვითარებაში, კონსულტაციისთვის დაიქირავებენ აუტოსორსინგულ კომპანიას.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორც საქართველოა, განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს ატარებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქართველოში მოქმედ ბიზნესებზე, განაგრძობს სწრაფ განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი მიმართულებით, განსხვავებული ინტერპრეტაციებით. 2020 წლის დასაწყისიდან ახალი კორონავირუსის დაავადებამ (კოვიდ-19) დაიწყო სწრაფი გავრცელება მთელს მსოფლიოში, რამაც გამოიწვია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის სტატუსის გამოცხადება 2020 წლის მარტის თვეში. მრავალმა ქვეყანამ შეიმუშავა პრევენციული ღონისძიება კოვიდ-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუშალა ბევრ კომპანიას ფუნქციონირებაში და ამას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. კოვიდ-19-მა ნეგატიურად იმოქმედა მრავალ კომპანიაზე, სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის, შეუზღუდავად, ისეთი გავლენა, როგორც არის ბიზნეს

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ოპერაციების ნგრევა წარმოების შეფერხების ან ობიექტების დახურვის, მიწოდების ქსელის რღვევის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნის და ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო.

საქართველოს ეკონომიკის სამომავლო გეგმას წარმოადგენს, მთავრობის მიერ, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებით ზეგავლენის მოხდენა, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას. 2019 და 2020 წლების განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაკვალა საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის შესრულების მიმართულებით, თუმცა მეტი საკანონმდებლო ცვლილებებია მომავალში მოსალოდნელი.

29. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) შესაბამისად წარმოადგენს შემდეგს:

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის გამოყენებით აკონტროლებს, ან კონტროლირდება ან საერთო კონტროლს არის დაქვემდებარებული ბანკთან (ეს მოიცავს მშობელ კომპანიებს, შვილობილ კომპანიებს და ჯგუფში შემავალ შვილობილ კომპანიებს); აქვთ ინტერესი ბანკში, რაც შედეგად მნიშვნელოვან გავლენას აძლევს ბანკზე; და რომლებიც საერთო კონტროლს ახორციელებენ ბანკზე;
- (b) ბანკის ან მისი მშობელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები;
- (c) (ა) ან (ბ) ქვეპუნქტში მითითებული ნებისმიერი ფიზიკური პირის ოჯახის წევრი;

მხარეები, რომლებიც იმყოფებიან (ბ) ან (გ) ქვეპუნქტში მითითებული პირების კონტროლის, ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ, ან რომლებზეც ვრცელდება ხმის მნიშვნელოვანი უფლება, პირდაპირ ან ირიბად.

თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება პირდაპირ ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. ბანკსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის მოცემული:

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

	2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
	დაკავშირებული მხარის ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარის ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
კლიენტების ანაზრები	981,480	166,672,277	881,909	169,133,192
- საწარმოს ან მისი მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი	128,049		78,507	
- საწარმოს ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ახლო ნათესავი	12,778		11,184	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	840,653		792,218	
სხვა აქტივები	107,979	1,841,462	-	2,291,648
- სხვა დაკავშირებული მხარეები	107,979		-	
სხვა ვალდებულებები	20,479	1,083,659	172,827	1,204,047
- მშობელი კომპანია	-		94,781	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	20,479		78,046	

ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება იყო შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება:				
- დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	1,509,372	15,103,807	1,406,611	14,289,450
სულ	1,509,372	15,103,807	1,406,611	14,289,450

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესულია შემდეგი თანხები, რომლებიც აღიარებული იყო დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების ფარგლებში:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
--	------------------------	------------------------

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო ხარჯი	(8,816)	(20,972,878)	(400)	(23,463,583)
- საწარმოს ან მისი მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი	(8,542)		(400)	
- საწარმოს ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ახლო ნათესავი	(274)		-	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,456,432)	(9,409,057)	(2,420,176)	(10,404,566)
- მშობელი კომპანია	(1,592,794)		(1,729,926)	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(863,638)		(690,250)	

30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

განმარტებითი შენიშვნა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულების შესახებ შედგენილია ფასს 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“) და ფასს 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) საფუძველზე. ფასს სამართლიან ღირებულებას განმარტავს, როგორც თანხას, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის.

ბანკმა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. თუმცა, სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს. ხელმძღვანელობა ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც მუდმივად არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით (თუმცა მოთხოვნილია განმარტებითი შენიშვნები სამართლიანი ღირებულების შესახებ).

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში - სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რომელიც სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

მოთხოვნები ბანკების მიმართ - ბანკების მიმართ არსებული მოთხოვნები მოიცავს სს „ფინკა ბანკი საქართველო“ მიერ ადგილობრივ ბანკებში განთავსებულ ანაბრებს წლის ბოლოსთვის, ერთ წელზე ნაკლები საწყისი დაფარვის ვადით. შესაბამისად, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ბანკების მიმართ მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

ბანკების ანაბრები - ბანკების ანაბრები მოიცავს სს „ფინკა ბანკი საქართველოში“ ბანკების მიერ განთავსებულ ანაბრებს წლის ბოლოსთვის, ერთ წელზე ნაკლები საწყისი დაფარვის ვადით. შესაბამისად, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ბანკების ანაბრების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უმეტესად მოიცავს მოკლევადიან დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, შესაბამისად საბალანსო ღირებულება მიიჩნევა მათი სამართლიანი ღირებულების გონივრულ შეფასებად.

კლიენტებზე გაცემული სესხები - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მოსალოდნელი მისაღები საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველს, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადაზე და კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში - სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება საზოგადოდ მიღებული საფასო მოდელების შესაბამისად, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, მსგავსი ინსტრუმენტებისთვის დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებებიდან ფასების გამოყენებით.

კლიენტების ანაბრები - მოკლევადიანი დაფარვის ვადის მქონე ანაბრებისთვის, ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე ანაბრებს და მიმდინარე ანგარიშებს, დაფარვის ვადის გარეშე. კლიენტების გრძელვადიანი ანაბრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი რისკის და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. გამოყენებული დისკონტირებული განაკვეთები შეესაბამებოდა ბანკის საკრედიტო რისკს და ასევე დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტასა და დაფარვის ვადაზე.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ნასესხები სახსრები, სავალო ფასიანი ქაღალდები და სუბორდინირებული სესხი - სუბორდინირებული სესხის, სავალო ფასიანი ქაღალდების და ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელის შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით სესხების მიღება შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

საიჯარო ვალდებულებები - იჯარების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელის შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საბალანსო განაკვეთი შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

2020 წლის განმავლობაში შეფასების მეთოდებში ცვლილება არ განხორციელებულა.

გარდა ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულისა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
		კლიენტებზე გაცემული სესხები მე-3 დონე	194,486,360	193,408,830	201,418,207
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში მე-2 დონე	28,526,129	28,698,231	18,820,711	18,636,459	
ბანკების ანაბრები მე-3 დონე	29,605,548	29,605,548	15,018,976	15,236,700	
კლიენტების დეპოზიტები მე-3 დონე	166,672,277	165,325,754	169,133,192	169,264,722	
ნასესხები სახსრები მე-3 დონე	18,215,004	17,976,877	24,020,550	24,058,416	
სუბორდინირებული ვალი მე-3 დონე	16,323,554	16,392,674	14,269,762	14,433,355	

a. ბანკი ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით ფასდება

ბანკის ზოგიერთი ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ (კონკრეტულად, შეფასების მეთოდ(ებ)ი და გამოყენებული შემავალი ინფორმაცია).

სამართლიანი ღირებულება

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 (ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ფინანსური ინსტრუმენტები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	სამართლიანი დირებულების იერარქია	შეფასების მეთოდ(ებ)ი და მნიშვნელოვანი დაშვებები		არაემპირიული დაშვებებისა და სამართლიანი დირებულების დამოკიდებულება
				მნიშვნელოვანი დაშვებები	მითითებული არ არის	
მოგებასა და ზარალში სამართლიანი დირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	511,816	708,973	მე-2 დონე	სამომავლო ფულადი ნაკადები შეფასებულია ფორვარდულ გადაცვლით კურსზე (ხელშესახები ფორვარდული გადაცვლის კურსებიდან რეპორტინგის პერიოდის ბოლოსთვის) და ფორვარდულ სახელშეკრულებო განაკვეთებზე დაყრდნობით	მითითებული არ არის	მითითებული არ არის

31. კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვა

ბანკი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბანკში შემავალი საწარმოების ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეებისთვის უკუგების მაქსიმალურად გაზრდა, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით.

კაპიტალის მართვის პროცესისთვის, ბანკი იყენებს კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესს (ICAAP), რომელიც მოიცავს კაპიტალის საჭიროების შეფასებას გარემოსთან, ზრდასა და სტრატეგიულ/საოპერაციო გეგმებთან დაკავშირებით.

კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესი რისკის პროფილის პოტენციური მნიშვნელოვანი ცვლილებების შეფასების და, შესაბამისად, მომავალი გადახდისუნარიანობის საშუალებას იძლევა. კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის შედეგი გამოიყენება კაპიტალური გეგმის შემავალი ინფორმაციის სახით. კაპიტალის გეგმა ნაჩვენებია ბანკის ხუთწლიან ფინანსურ პროგნოზში, ბიუჯეტირების მიზნებისთვის. გარდა ამისა, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ატარებს შეფასებას და გასცემს რეკომენდაციებს კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ და მართავს კაპიტალის ადეკვატურობის დონეს, მისი რისკების მართვის საქმიანობის კონტექსტში.

კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესი მოიცავს ეკონომიკური კაპიტალის შეფასებას, რომელიც ბანკის მიერ მოულოდნელ ზარალთან გამკლავებისთვის საჭირო შიდა ღონისძიებაა. ამ მხრივ, ბანკის ეკონომიკური კაპიტალი განისაზღვრება ზარალის დასაფარად 99%-იანი სანდოობის დონით, ერთწლიან ჰორიზონტში. ბანკი ანგარიშობს ეკონომიკურ კაპიტალს საკრედიტო რისკის, საბაზრო რისკის (მათ შორის არასავაჭრო საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის), საოპერაციო რისკისა და რეპუტაციის

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

რისკისთვის. ბანკი რეგულარულად აძლიერებს ეკონომიკური კაპიტალის მეთოდს და საბაზრო მონაცემებთან გარე საცნობარო ქულებთან შედარებას.

„FINCA Microfinance Holding“-ის კაპიტალის ბაზრის ჯგუფი ახდენს „ფინკას“ ქსელისთვის და/ან ინდივიდუალური შვილობილი კომპანიებისთვის დაფინანსების (სესხი და კაპიტალი) კომერციული წყაროების უზრუნველყოფის მხარდაჭერას.

ამასთან ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

სებ-ის მიერ განსაზღვრული განაკვეთები ყოველთვიურად კონტროლირდება ანგარიშებით, რომლებშიც განსაზღვრულია მათი დაანგარიშების მეთოდები და რომლებიც ხელმოწერილია ბანკის აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორების მიერ, შემდგომ კი სებ-ს წარედგინება. კაპიტალის მართვის სხვა მიზნები მუდმივად ფასდება.

სებ-ის მიერ კაპიტალთან მიმართებაში დღეისათვის დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, არსებული კომერციული ბანკები ვალდებულები არიან

a) იქონიონ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური დონე 50,000 ათასი ლარის ოდენობით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის შემდეგ;

b) შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე, შემდეგი სახით:

- შეინარჩუნონ ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალი რისკით შეწონილ აქტივებზე (RWA) 4.5%-ზე ან უფრო მაღალ დონეზე
- შეინარჩუნოს პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი რისკით შეწონილ აქტივებზე 6%-ზე ან უფრო მაღალ დონეზე
- შეინარჩუნოს საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი რისკით შეწონილ აქტივებზე 8%-ზე ან უფრო მაღალ დონეზე

ამ მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად, ბანკმა უნდა შეინარჩუნოს წმინდა „GRAPE“ ბუფერი, კონსერვაციის ბუფერი და სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR).

2020 წელს სებ-მა შექმნა დროებითი ზედამხედველობის გეგმა, რომელიც 2020 წლიდან ამოქმედდა. ის ვრცელდება მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნების შემცირებას კოვიდ-19-ით გამოწვეული ფინანსური კრიზისის დროს.:

- გეგმის მიხედვით, მოხდა კონსერვაციის ბუფერის (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5%) ლიკვიდაცია
- სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR) 2/3-ით შემცირდა
- წმინდა „GRAPE“ ბუფერის მოთხოვნების ეტაპობრივი დანერგვა ძირითად პირველად კაპიტალზე (CET1) და პირველად კაპიტალზე, რომელიც დაიგეგმა 2020 წლის მარტის ბოლოს, გადავადდა განუსაზღვრელი ვადით.

ბანკებს ეზღუდებათ კაპიტალის განაწილება რაიმე ფორმით პერიოდის განმავლობაში.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის მოთხოვნები და ფაქტიური ლიმიტები 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნილი ლიმიტი	კოეფიციენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნილი ლიმიტი	კოეფიციენტები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
პირველი რიგის კაპიტალის საერთო კოეფიციენტი	5.28%	14.05%	7.86%	15.05%
პირველადი კაპიტალი მინიმალური	7.04%	14.05%	9.65%	15.05%
საზედამხედველო კაპიტალი	13.13%	19.01%	15.77%	20.59%

ბანკის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს კაპიტალს, გაცემულ კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეფასებულია ბანკის საზედამხედველო კაპიტალის რესურსებს კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის სებ-ის ინსტრუქციებთან ერთად:

	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
სააქციო კაპიტალი	25,643,200	25,643,200
გაუნაწილებელი მოგება სებ-ის მიხედვით	16,366,142	18,784,805
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები	(1,255,852)	(1,931,247)
გამოკლებული: გადავადებული საგადასახადო აქტივები	(247,906)	0
პირველადი კაპიტალი	40,505,584	42,496,758
საერთო რეზერვი (მაქსიმუმ 1.25%-იანი საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები)	2,830,017	2,703,140
სუბორდინირებული სესხი (პირველადი კაპიტალის 50%)	11,484,483	12,918,989
მეორადი კაპიტალი	14,314,500	15,622,129
სულ საზედამხედველო კაპიტალი	54,820,084	58,118,887
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	288,395,994	282,281,378
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	14.05%	15.05%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	19.01%	20.59%

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში შეიტანა მიღებული სუბორდინირებული ვალი, რაც არ აღემატებოდა პირველადი კაპიტალის 50%-ს. ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდირების შემთხვევაში, ამ ვალის დაბრუნება სუბორდინირებულია სხვა კრედიტორების წინაშე ბანკის ვალდებულებების დაფარვის მიმართ.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

32. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკის მართვა ბანკის საქმიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ის ბანკის ოპერაციების არსებით ნაწილს წარმოადგენს. ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- საოპერაციო რისკი;
- კონცენტრაციის რისკი;
- რეპუტაციის რისკი;
- შესაბამისობის რისკი;
- ბიზნესის უწყვეტობის რისკი;
- საინფორმაციო უსაფრთხოების რისკი;
- სხვა რისკები.

რისკების მართვის სტრუქტურა

ბანკი აღიარებს, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს რისკების მართვის ეფექტური პროცესების უზრუნველყოფას. ამ მხრივ, ბანკმა შეიმუშავა რისკების მართვის სტრუქტურა, რომელიც თანმიმდევრულად ერგება სტრატეგიულ პრიორიტეტებს და მხარს უჭერს „ფინკა საქართველოს“ ბიზნეს-სტრატეგიის განხორციელებას.

დირექტორატს აქვს სრული პასუხისმგებლობა ბანკის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკების განსაზღვრაზე.

რისკის მართვის სისტემის მეშვეობით ბანკი მართავს და პასუხობს ზემოთ მითითებულ რისკებს.

რისკების მართვის სტრუქტურა მოიცავს პოლიტიკებს, პროცედურებს, ინსტრუმენტებს, რესურსებს და სისტემებს, რომელთა მიზანია რისკების ეფექტურად გამოვლენა, ანალიზი, შეფასება და მართვა.

რისკების მართვის კომიტეტი და აუდიტის კომიტეტი მიმოიხილავს და აკონტროლებს რისკების მართვის პროცესს, რისკების მართვის სტრუქტურას, რისკის მისაღებ დონეს და რისკის პოლიტიკებს.

ბანკის რისკების მართვისა და მმართველობისთვის ცენტრალური მნიშვნელობის არის მისი რისკის კულტურა. რისკის კულტურა განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი ტონით. რისკის კულტურა გათვალისწინებულია ბანკის რისკების მართვის სტრატეგიებში, რისკის მისაღებიდონის შესახებ პოლიტიკაში და ყოველდღიურ პროცესებში. რისკების მართვის მიზნებისთვის ანგარიშვალდებულება ეფუძნება დაცვის სამ-ხაზიან მოდელს, სადაც დაცვის პირველ ხაზს წარმოადგენენ „ფინკა ბანკი საქართველოს“ ბიზნეს-ერთეულები, მეორე ხაზს - რისკებისა და შესაბამისობის ფუნქცია, ხოლო მესამე ხაზს - შიდა აუდიტი.

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

რისკების მართვის სტრატეგია და რისკის მისაღები დონე

რისკების მართვის სტრატეგია და რისკის მისაღები დონე განისაზღვრება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ბანკის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, რისკის, კაპიტალისა და შესრულების მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბანკის ხედვის გათვალისწინებით, მოიცავს შემდეგს: იყოს გლობალური ქსელი, რომელიც ერთდროულად ემსახურება მეტ დაბალშემოსავლიან მეწარმეს, რომელიც შესრულებისა და მდგრადობის კომერციულ პრინციპებზე ფუნქციონირებს, რისკების მართვის სტრატეგიის მთავარი მიზნებია შემდეგი:

- ბანკის ბიზნეს-სტრატეგიის განვითარების ხელშეწყობა, რისკზე მორგებული მომგებიანობის უზრუნველსაყოფად.
- ბანკის მდგრადი განვითარების გარანტირება რისკების გამოვლენის, ანალიზის, შეფასების, დამუშავებისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის დანერგვის გზით.

მთლიანობაში, ბანკი საქმიანობს დაბალი რისკის დიაპაზონში და ის კონსერვატიულ მიდგომებს იყენებს რისკების მართვასთან მიმართებაში. ამავდროულად, ბანკი აღიარებს, რომ შეუძლებელია მისი ოპერაციების/საქმიანობების დამახასიათებელი რისკების სრულად აღმოფხვრა, შესაბამისად, ბანკი მუდმივად აკონტროლებს საჭირო პროცესების, რესურსებისა და მართვის გარემოს ადეკვატურობას.

ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და ყველა თანამშრომელი მოწოდებულია დაიცვას ბანკის რისკების სტრატეგიის პრინციპები და მიიღოს ყოველდღიური გადაწყვეტილებები, რისკისა და სარგებელის პრინციპის გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკი

ბანკი დგას საკრედიტო რისკის წინაშე, რომელიც არის მსესხებლის ან კონტრაქტის მიერ ფინანსური ან სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის რისკი.

ბანკის ძირითადი საქმიანობაა მიკრო-სესხების გაცემა. მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის თავიდან არიდების მიზნით, ბანკი სხვადასხვა მეთოდებს იყენებს საკრედიტო რისკების ეფექტურად გამოვლენისა და მართვისათვის.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და სესხის გაცემის მართვა განისაზღვრება საკრედიტო სახელმძღვანელოს გამოყენებით, რომელშიც ყველა დაკავშირებული პროცედურები და მოთხოვნები, შესაბამის მართვის მექანიზმებთან ერთად გარკვევით არის განსაზღვრული, მათ შორის სესხის გაცემის, ვადაგადაცილებული სესხების გაკონტროლების და სხვ. ჩათვლით.

ბანკი განაგრძობს ძირითადად დაბალშემოსავლიანი მეწარმეებისთვის მიკრო სესხების შეთავაზებაზე ორიენტირებას შემოსავლის წარმომქმნელი საქმიანობებიდან მიღებული ფულადი ნაკადებით (მათ შორის ვაჭრობა, წარმოება, სასოფლო მეურნეობა და სხვ.). ბანკმა

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

ასევე გააფართოვა კრედიტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შეთავაზება, საბაზრო მთხოვნის მომსახურებისას.

ბანკი შეიმუშავებს ინდივიდუალურ საკრედიტო მეთოდოლოგიას სასესხო პროდუქტებში. შესაბამის შემთხვევაში, ბანკი იღებს პერსონალურ გარანტიას და/ან უზრუნველყოფის საგანს. ამასთან, ყველა აპლიკანტის საკრედიტო ისტორია მოწმდება საკრედიტო ბიუროში, განმცხადებლების თანხმობის საფუძველზე.

საკრედიტო კომიტეტი ანალიტიკური ორგანოა, რომელიც პასუხს აგებს სასესხო განაცხადებში მითითებული ინფორმაციის ანალიზზე. ეს არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სესხის განაცხადის დაფინანსების ან მასზე უარის გაცემის, ასევე სესხის პირობების ცვლილების, მათ შორის - რესტრუქტურისაციის ჩათვლით.

საკრედიტო კომიტეტების სხვადასხვა დონე არსებობს, სესხის რაოდენობიდან გამომდინარე. ასევე მცირე ზომის სესხებისათვის არსებობს სესხის დამტკიცების ალტერნატიული მეთოდი, საკრედიტო ბიუროების საკრედიტო რეიტინგების საფუძველზე. საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესი სრულად ავტომატიზებულია. გადაწყვეტილების მიღების ლიმიტები MIS-ის მიერ კონტროლირდება, ავტომატურად, წინასწარ განსაზღვრული დამზების დონეების საფუძველზე.

ბანკი განაგრძობს გონივრული საკრედიტო პოლიტიკის მიღებას, მას შემდეგ რაც „ფინკა საქართველო“ ბანკად იქნა ტრანსფორმირებული. შიდა კონტროლის გუნდი რეგულარულად ამოწმებს საკრედიტო ანალიზის ხარისხს. ყველა საკრედიტო აქტივობა მიმართულია კლიენტებთან გრძელვადიან ურთიერთობაზე, მყარი მომგებიანობის მისაღწევად და კრედიტის ემისიის გაფართოების თავიდან ასაცილებლად, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გრძელვადიან სტაბილურობას.

ბანკი საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით, ცალკეულ მსესხებელზე, მსესხებლების ჯგუფზე და საბანკო პროდუქტზე. ბანკი ყურადღებით აკონტროლებს ცვლილებებს მის საკრედიტო პორტფელში. საკრედიტო რისკის შესაფასებლად, ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს, სეზონის მიერ განსაზღვრული პარამეტრების საფუძველზე. ის მოიცავს პირდაპირ საკრედიტო რისკს და სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერს.

ინდივიდუალური მსესხებლების დონეზე პორტფელის კონცენტრაცია ძალიან შეზღუდულია პორტფელის მაღალი დეტალიზაციის გამო, მაშინ, როდესაც დარგობრივი კონცენტრაცია მეტად აქტუალური საკითხია, რამდენიმე სექტორში პორტფელის მაღალი კონცენტრაციის გამო. ეს რისკი ყურადღებაში მიიღება კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესში, პილარ II კაპიტალის დამატებების დაანგარიშებისას.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა

სააქციო საზოგადოება „ფინკა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

